ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 25 ოქტომბერი, 2011 №253 (5633) ფასი: 30 თეთრი

## გოგა ხაჩიძე: კიდევ კარგი, ანზორიკო ბიწაძეც არ რეპავდა, თორემ მერე გენახათ ბელა-ჩაოს რეპი

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გოგა ხაჩიძე ბერა ივანიშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებით მორიგ კომენატრს აკეთებს.

გოგა ხაჩიძემ „ფეისბუქის" გვერდზე შემდეგი შინაარსის შეტყობინებები განათავსა: „ბავშვიაო და რა ვთქვა, აბა? მშობელთა კრებას ვითხოვ", „განვითარდა ქართული შოუ-ბიზნესი...", „კიდევ კარგი, ანზორიკო ბიწაძეც არ რეპავდა, თორემ მერე გენახათ ბელა-ჩაოს რეპი"...

შეგახსენებთ, რომ ბერა ივანიშვილმა სოციალურ ქსელ ფეისბუქზე მორიგი სიმღერა, „ვერავინ ვერასდროს ვერსად" გამოაქვეყნა. სიმღერა პოლიტიკური შინაარსის ტექსტებსაც შეიცავს „მიირთვით ჰალსტუხების ასორტი, ქართველი ვარ, არ მჭირდება პასპორტი", -მღერის რეპერი ბერა.

იგი საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრ გოგა ხაჩიძესაც პასუხობს – „არ ვიცოდი, ვინ იყავი, მოგისმინე, გავიქეცი, გოგა, გთხოვ, დროზე წვიმად გადაიქეცი".

როგორც ცნობილია, ხაჩიძემ სოციალურ ქსლეში ბერას მიერ გავრცელებულ სიმღერებს „აგრესიული, ჩლიფინა რეპი" უწოდა. ამის შემდეგ ხაჩიძემ დაწერა, რომ მან ბერას ასაკი (16) არ იცოდა და როდესაც შეიტყო, რომ ბიძინა ივანიშვილის ვაჟი მისი შვილის თანატოლი იყო, მიხვდა, რომ რეპერის გაკრიტიკებისას გადააჭარბა.

მედიანიუსი

# პეტრე მამრაძე: ხელისუფლება არეულობას გეგმავს



გვ.2

## სააკაშვილი სკამს იოლად არ დათმობს



## ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლა მის რეიტინგს გაზრდის

გვ.3

## მეკობრეები ქართველ მეზღვაურებში უკვე 9 მილიონს ითხოვენ

გვ.4



გვ.2

## ამ კვირაში პარლამენტში მთავრობას დაიბარებენ

## ჯონ ბასი: ამერიკა დაინტერესებულია საქართველოში დემოკრატიის განვითარებით



გვ.4



კახეთის საინფორმაციო ცენტრი

გვ.3

## ალავერდის მონასტრის ბერებს მოსახლეობა დაუპირისპირდა

## ვინ ვინ არის



გვ.6



გვ.6

## ვანო მერაბიშვილი ბიძინა ივანიშვილს ჯადოქრობაში ადანაშაულებს

## ზურა შიოლაშვილმა ნიცშეს „ჭკვიანი იდიოტი" უწოდა

გვ. 5

## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში"

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის" უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**3** თბილისსა და ქუთაისში ჯანმრთელობისათვის საშიში ხორცპროდუქტები აღმოაჩინეს

**6** თურქეთის მიწისძვრას სომხეთის ატომური ელექტროსადგური არ დაუზიანებია

**6** ბიძინა ივანიშვილის პირველი პრესკონფერენცია პირველ ნოემბერს გაიმართება

**7** რისი ეშინია ივანიშვილს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# პეტრე მამრაძე: ხელისუფლება არეულობას გეგმავს

## სააკაშვილი სკამს იოლად არ დათმობს

ქეთი ხომერიკი

**რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას ხელისუფლებამ ივანიშვილის წინააღმდეგ, რა უნდა დაუპირისპიროს მილიარდერმა მმართველ გუნდს და ვის სურს პროცესების რადიკალიზაცია საქართველოში ? ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ პარლამენტარი, ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრი პეტრე მამრაძე ესაუბრა.**


პეტრე მამრაძე

**პეტრე მამრაძე:**

– ბატონ ბიძინას პირადად ვიცნობ და მიმაჩნია, რომ ის არის უდიდესი ქველმოქმედი და დიდი პატრიოტი. იმასაც ამბობდნენ, რომ კულტურის სამინისტროს აფინანსებდა და, საერთოდაც, ბიუჯეტის დიდი ნაწილი ივანიშვილის ფული ივსებოდა. და წლების განმავლობაში ეს კაცი ითხოვდა მხოლოდ ერთ რამეს – ჩემს სახელს და გვარს ნუ დაასახელებთო, ეს კი მოგეხსენებათ, ნამდვილი ქველმოქმედის წესია. პირადად ჩემთვის, შეხვედრებისას არაერთხელ უთქვამს ბატონ ბიძინას, რომ ეს ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა და ადამიანს იმისათვის ეძლევა, რომ სიკეთის კეთება მოასწროს. ის ძალიან ბევრ ადამიანს დაეხმარა და მე ორიოდე დღის წინ შემხვდნენ უფროსი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლები, რომლებმაც მითხრეს, რომ თუ „ქართუ ბანკს“ რამე მოუვა, დავიღუპებითო, რადგან თვიდან თვემდე ამ ფულით, ჩვენი პენსიებისა და შემწეობის სახით მიღებულით ვარსებობთო. რაც შეეხება ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას, დარწმუნებული ვარ და მჯერა მისი ყოველი სიტყვის. ის ამბობს, ორჯერ დავაპირე საქართველოდან წასვლა და ვაჟიშვილებმა გადამაფიქრებინესო, მჯერა მე ამის. მე ვიცნობდი რა ამ ადამიანს პირადად, ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ველარ მოითმენდა იმას, რაც ხდება დღეს საქართველოში.

***– თქვენთან საუბრებში არასდროს გამოუთქვამს სურვილი პოლიტიკაში მოსვლის შესახებ?***

– არასდროს, თუმცა მე, მრავალი წელია აღარ მქონია მასთან კონტაქტი, 2004 წლის შემდეგ მასთან აღარ მისაუბრია, მაგრამ ვიცი, რა ადამიანიც არის და ვიცი მისი კრედო. ის, რომ გაცილებით მეტი გააკეთა საქართველოსთვის, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენმა ბიზნესმენმა, ეს ძალიან ცოტა იქნება, რომ ვთქვათ, იმდენად მეტი გააკეთა. ვფიქრობ, რომ ის არის სრულიად გულწრფელი და რეჟიმმაც არ დააყოვნა. ახლა რეჟიმის მდგომარეობა როგორია, იცით? ანუ სააკაშვილისა და მის გარშემო მყოფი ათიოდე ადამიანის, რომელიც შეკრულია მასთან საერთო დიდი დანაშაულის შეგრძნებით. მე, ახლა ვციტირებ ერთ ცნობილ ადამიანს, რომელიც დღესაც მთავრობაშია, მინისტრი არ არის, მაგრამ მაღალ თანამდებობაზეა, ამ რამდენიმე თვის წინ მითხრა – ტრაგედია ის არის, რომ უკან დასახევი ამ ადამიანებს აღარ აქვთ, მათ იციან, ხელისუფლებიდან თუ წავლენ, წავლენ ციხეში 15-20 წლითო.

***– ვინ გითხრათ, დააკონკრეტეთ...***

– ხელისუფლებაში მყოფმა ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა. კონკრეტულად ვის გულისხმობდა? ძნელია, ჩამოთვალო, მაგრამ ყველაზე გავლენიანებში ყოველთვის მერაბიშვილს, უგულავას, ადეიშვილის, გივი თარგამაძესა და კიდევ რამდენიმე ადამიანს ასახელებენ.

***– მათ შორის ბოკერიას?***

– პირადად მე, არ გამიგია, რომ ბოკერია იყოს კორუფციის სიმბოლო, თუმცა იდეოლოგად ასახელებენ. ბატონი ბიძინა არასდროს ტყუის და ძალიან მენიშნა ღიად, რომ თქვა, აგვისტოს ომამდე აპირებდნენ ცხინვალში საომარი მოქმედებების დაწყებასო. ზუსტად იგივეს წერს ასმუსი თავის წიგნში – 2007 წელს უკვე მზად იყვნენ თავდასხმა განეხორციელებინათ ცხინვალზე ან აფხაზეთზეო.

***– ხელისუფლება ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს, ირწმუნება, ივანიშვილმა იცრუაო...***

– ივანიშვილი არასდროს ცრუობს. ეს ფაქტი კი ცნობილია ყველასათვის, ვინც მეტ-ნაკლებად ჩართული იყო ამ საქმიანობაში და ასმუსის წიგნში შავით თეთრზე წერია, 2007 წელს უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ უნდა შესულიყვნენ ცხინვალში, ბოლო მომენტში უცხოელებმა გადააფიქრებინეს, განსაკუთრებით ამერიკელებმა, თუმცა 2008 წელს მაინც განახორციელეს ეს. ბატონმა ბიძინამაც წვლილი შეიტანა ამაში, თუმცა სააკაშვილს, რომ ჰქონოდა გადაწყვეტილი, ვერაფერს იზამდა. გუნდში მაშინ ამ საკითხზე თანხმობა არ იყო, ამიტომ ივანიშვილის აზრმა დახმარება გაუწია მათ, ვინც აჩერებდა სააკაშვილს.

***– ეს საკმაოდ სერიოზული ბრალდებაა...***

– ეს პირადად სააკაშვილის აკვიატება იყო. სააკაშვილი ჯერ პრეზიდენტად არ იყო არჩეული, რომ 2003 წლეს თამარაშენში თქვა – შემდეგი არჩევნები ცხინვალში ჩატარდებაო. შემდეგ ალმაშენებლის საფლავზე ფიცი დადო, საქართველოს გამთლიანება არის ჩემი უპირველესი ამოცანა და ამას ჩემი პრეზიდენტობის ვადაში მივაღწევო. ისტორიაში უნდოდა დარჩენა, როგორც ახლა ფიქრობს, რომ ისტორიაში დარჩება ხიდების აღმშენებლად. მას სულ ეგონა, რომ ამას შეძლებდა, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა, ფიქრობდა, რუსეთი ვერ გაბედავდა მთელი ძალით შემოსვლას ამერიკის გამო. არადა, ამერიკელები სულ აფრთხილებდნენ მას, კონდოლიზა რაისი მაშინ ერთადერთი მესიჯით ჩამოვიდა საქართველოში – თუ ომს დაიწყებ, მარტო დარჩებიო. ეს იყო სააკაშვილის სამხედრო, პოლიტიკური ავანტიურა პასუხად უხეში პროვოკაციისა, რომელიც რუსეთის მხრიდან წლების განმავლობაში პერმანენტულად ხორციელდებოდა და როგორც უცხოელებმა მითხრეს მაშინ, ლანგარზე მიართვა პუტინსა და რუსეთის სამხედრო მანქანას ცხინვალი, საშუალება მისცა საქართველოს ოკუპაციისო.

***– და ივანიშვილის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს როგორ აფასებთ? კიდევ რაზე შეიძლება წავიდეს ხელისუფლება, მაქსიმუმი რა არის?***

– იმ მაღალჩინოსანმა მითხრა, ყველაფერზე არიან წამსვლელნიო. გვახსოვს ხომ, 26 მაისს დემონსტრაციის დაშლის ნაცვლად სანიმუშო ჟლეტა რომ მოაწყვეს. აი, ნახეთ, როგორ იმოქმედეს ახლა, დიჯეი დააპატიმრეს, მაშინვე ნარკოტიკი ჩაუდეს, ბანკის მანქანა გააჩერეს და ფული ამოიღეს, ლევინი ლამის რადიოაქტიური მასალების ეჭვით დააკავეს, ანუ საზღვარი არ არსებობს. დღეს იმ ფაზაშია რეჟიმი, რომ თუ ეს, ივანიშვილის პრობლემა სწრაფად არ გადაწყვიტა, იცის, რომ ხელისუფლებას დაკარგავს, ვინაიდან ივანიშვილი ხდება საერთო მიზიდულობის ცენტრი ჩვენი ხალხის დიდი ნაწილისთვის, ამიტომაც წაართვეს მას მოქალაქეობა.

***– როგორ ფიქრობთ, მიანიჭებს პრეზიდენტი მას მოქალაქეობას?***

– რა თქმა უნდა, არა, გამორიცხულია. იმ გოგონას, რომელმაც უკანონოდ მიიღო მონაწილეობა სილამაზის კონკურსში, რადგან არ იყო ჩვენი მოქალაქე, (რომელსაც ყოველგვარ წარმატებას ვუსურვებ), პოსფაქტუმ მოქალაქეობაც მისცეს და კონკურსში მონაწილეობაც ჩაუთვალეს და ადამიანს, რომელმაც ასობით მილიონი დაახარჯა ქვეყანას, ძალიან ბევრი თავად ამ ხელისუფლებას მოქალაქეობა ჩამოართვეს. ახლა გაახსენდათ რუსული ფული თურმე, როგორ არის ეს რუსული ფული, კი ბატონო, რუსეთში შეიძლება ბიზნესმენმა ფული იშოვოს, მაგრამ ამას ჰქვია რუსული ფული?

***– ან რატომ იღებდნენ ამ „რუსულ ფულს“?***

– არამარტო, და მეორე – უდიდეს პლუსად მიმაჩნია, რასაც ბატონი ბიძინა ამბობს და ყოველთვის იძახდა – მე საქართველოში ფულს არ ვაკეთებ, მე საქართველოში მხოლოდ ვხარჯავო.

***– არ ელოდა ხელისუფლების მხრიდან მსგავსი ნაბიჯების გადაგმას ივანიშვილი? არ იყო ამისთვის მზად?***

– აშკარად არ ელოდა, არ ეგონა, რომ ასე მოექცეოდნენ იმის შემდეგ, რაც მან მათ გაუკეთა. თანაც ომი ხომ არ გამოუცხადა ხელისუფელაბას, არა, ასეთი მიმართულებით, რომ ეფიქრა.

***– რა უნდა დაუპირიპიროს ივანიშვილმა ამ რეპრესიულ მანქანას, ან ვინ უნდა შეაჩეროს ხელისუფალი?***

– მხოლოდ ხალხმა, მობილიზებით და ერთიანობით. დარწმუნებული ვარ, მთელი საზოგადოება, დამოუკიდებელი მასმედია და იგივე პოლიტიკური პარტიები, რომ გაერთიანდნენ, 3-4 თვეში სააკაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილის აღიარებით ჩვენებებს მოვისმენთ.

***– თუმცა არაერთხელ იყვნენ გაერთიანებულნი, მაგრამ... ხალხი შიშის დაძლევას შეძლებს?***

– რა თქმა უნდა, შიშის ფაქტორი არის. მე, მაგალითად, ივანიშვილის აზრებს ვიზიარებ, ამათ უნდათ, რომ ქუჩისკენ წავიდეს პროცესები, თუნდაც ის, როცა უფორმო ნიღბიანებმა თავდასხმა განახორციელეს „ქართუ ბანკის“ მანქანაზე, ეს ხომ პროვოკაცია იყო. ამ მანქანის დაცვის ოფიცრებს წესით და კანონით შეეძლოთ ცეცხლი გაეხსნათ ხომ?!

***– ფიქრობთ, პროცესების რადიკალიზაცია სურს ხელისუფლებას?***

– დიახ, მათ მხოლოდ ეს უნდათ. შემდეგ იტყვიან, აი, ბიძინას, ამ კაცის, ამ ოლიგარქის გამო, როგორც ეძახიან, უკვე სისხლი დაიღვარაო.

***– ქვეყნას საფრთხეს უქმნის და უნდა დატოვოსო?***

– ყველა შემთხვევაში. და ბატონი ბიძინა მართალია, ამით მხოლოდ გაირთულებენ საქმეს სამომავლოდ. მათი გეგმა ჩემთვის ნათელია, დიახ, ეს უნდათ. ეს არის ყოველგვარ უკანონობაზე წასვლა, რაც უკვე ჩაიდინეს, მაგრამ ჩასადენი ჯერ კიდევ ბევრი აქვთ და 90 დღე ტყუილად არ გააჟღერებინეს თაქთაქიშვილს, ბიძინამ ისიც თქვა, შეიძლება მესროლონ კიდეცო.

***– არ გამორიცხავთ?***

– გამორიცხული არაფერია. და ყველა ამის გათვალისწინებით, ვთქვათ, დღეს არაფერი გააკეთეს, იმას მაინც გააკეთებენ, რომ რაღაც დროში განახორციელონ მისი დეპორტაცია, მოქალაქეობას ხომ არა და არ დაუბრუნებენ.

# ამ კვირაში პარლამენტში მთავრობას დაიბარებენ

თეა მარხვაიძე

**დეპუტატების ერთი ნაწილი მთავრობის მუშაობით უკმაყოფილოა. ამ მხრივ განსაკუთრებით ახალი ფრაქცია გამოირჩევა. ფრაქცია ერთობა სამართლიანობისთვის წევრები უკვე კარგა ხანია გამოთქვამენ პრეტენზიებს.**



მათ აღშფოთება არც ბაკურ კვეზერელის მოხსნამ გაუნელა. ჯონდი ბაღათურიას დღემდე ვერ წარმოუდგენია თუ რა უნდა გააკეთოს ზაზა გოროზიამ სოფლის მეურნეობის სამინისტროში. მასთან ოპოზიციონერს პრეტენზიები ადრეც ჰქონდა, ახლა უფრო მეტი ექნება. ამ უკანასკნელს ქართულ დასთან ერთად სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა ჰქონდა. რომელიც, ბაღათურიას თქმით, საქართველოს პრეზიდენტმაც მოიწონა.

ბაღათურიას და მის თანაფრაქციელებს რამდენიმე მინისტრთან აქვთ კითხვები. მინისტრებთან ერთად ოპოზიციონერები პარლამენტში პრემიერსაც ელიან.

ალმასარულებელი ხელისულებისთვის კითხვების დასმის საშუალება მათ ამ კვირაში მიეცემათ.

გუშინ გაირკვა, რომ პარლამენტში სამთავრობო საათი 27 ოქტომბერს გაიმართება. ამ საკითხის ინიციატორია ფრაქცია ერთობა სამართლიანობისათვის არის.

როგორც ფრაქციის წევრმა ჯონდი ბაღათურიამ სხდომაზე აღნიშნა, ფრაქცია სამთავრობო საათზე პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიას, ფინანსთა მინისტრ დიმიტრი გვინდაძეს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ანდრია ურუშაძესა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა გოროზიას იწვევს.

– მათ შეკითხვები უკვე დაეგზავნათ. პარლამენტისადმი კორექტულობით ჯანდაცვის სამინისტრო გამოირჩევა, რომლისგანაც წერილობითი გამოხმაურება მივიღეთ, – აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

მისი თქმით, ფრაქციის წევრებს მინისტრებთან არაერთი მწვავე შეკითხვა ექნებათ. კერძოდ, ისინი პენსიების ზრდის, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებისას გამოვლენილი ნეპოტიზმის ფაქტებსა და დარღვევებს, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმების ადგილების შექმნასა და სხვა აქტუალურ საკითხებს შეეხება.

აღსანიშნავია, რომ ბაღათურიას ფრაქციას ცოტა ხნის წინ პარლამენტში დიმიტრი შაშკინი ჰყავდა დაბარებული. მინისტრმა დეპუტატები გადააგდო, ამის გამო ახალი ფრაქცია ძალიან აღშფოთებულია.

ბაღათურიას ფრაქცია ამ კვირაში სხვა საქმეებითაც იქნება დაკავებული. დღევანდელი პლენარული სხდომა დეპუტატების განცხადებებით გაიხსნება. ამ შანსს ახალი ფრაქცია ხელიდან არ გაუშვებს და რამდენიმე მწვავე განცხადებას გააკეთებს.

მათი განცხადებების გამო ტრადიციულად თავს გაინერვიულებს უმრავლესობა. ცაგარეიშვილის და ბაღათურიას მიკროფონთან მიახლოება ნერვებს განსაკუთრებით გოკა გაბაშვილსა და ნუგზარ წიკლაურს უშლის.

თუ გავითვალისწინებთ ივანიშვილის გარშემო ატეხილ ფორიაქს შესაძლოა ნაციონალებმა თავიანთი კოლეგებისთვის ველარ მოიცალონ. მაგრამ ბაღათურია რისი ბაღათურია იქნება, კოლეგებს რაიმე მწარე რეპლიკა არ გამოსტყუოს.

წესით ჯონდის ფრაქციას ამისთვის არ უნდა ეცალოს. ამ კვირაში მათ საპარლამენტო კომისიის შექმნაზეც უნდა გაინერვიულონ თავი. ახალი ფრაქცია მედიაზე ზეწოლის ფაქტების შესწავლას ითხოვს.

ბაღათურიამ ეს საკითხი ჯერ კიდევ მაშინ წამოსწია, როცა მარტოხელა დეპუტატი იყო. მან ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. დიდი ჯაფა კი გასწია, მაგრამ სულ 6 კაცს გამოსტყუა ავტოგრაფი. უფრო სწორად 5-ს, მეექვსე თავად იყო.

ახლა ამ ექვსეულს ფრაქცია აქვთ შექმნილი. და სწორედ ფრაქციის სახელით მოითხოვენ საპარლამენტო კომისიის შექმნას. რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად „იმედის“ დარბევაც ონდა შეისწავლოს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ალავერდის მონასტრის ბერებს მოსახლეობა დაუპირისპირდა

**ალავერდის მონასტრის გარშემო დიდი ამბები ხდება. სოფელ ალავერდის მოსახლეობა მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირების მიმართ უკვე კარგა ხანია უკმაყოფილებას გამოთქვამს. ადგილობრივები ამბობენ, რომ სასულიერო პირები მათ სერიოზულ პრობლემებს უქმნიან.**

თეა მარხვაიძე

ალბათ, ყველას თვალში ეცემა, რომ მონასტრის სიახლოვეს არაფერი აღარ იყიდება. არადა, წლების წინ აქ გარემოვაჭრეები ისხდნენ. ისინი სხვადასხვა ნივთებთან ერთად სანთლებსაც ყიდდნენ.

სანთლების გარეთ გაყიდვა სასულიერო პირებმა რამდენიმე წლის წინ აკრძალეს. მაშინ „ახალ თაობას“ ასე განუმარტეს, რომ გარეთ ნაყიდი სანთელი მონასტრის კედლებს აზიანებდა.

– მონასტერში თაფლის სანთელი იყიდება. გარეთ დამზადებული სანთელი კი, კაცმა არ იცის, რისგან არის დამზადებული. როცა ეს სანთელი იწვება, მონასტრის ფრესკები და კედლები ზიანდება. ამიტომ სასურველია, მონასტერში თაფლის სანთელი დაენთოს, – განაცხადეს სასულიერო პირებმა.

ამ ამბიდან ცოტა ხანში, მეუფე ალავერდელის გადაწყვეტილებით, მონასტრის მოპირდაპირე მხარეს მდგარი ფაცხები მოშორებით გადაიტანეს.

ამ ფაცხებში დიდი ქეიფები იმართებოდა და არა მარტო ალავერდობის დღესასწაულზე. ნასვამი ადამიანები კი, მოგეხსენებათ, ათას რამეს მოიფიქრებენ. არაერთხელ იყო შემთხვევა, როცა ფაცხებში შექეიფიანებულები მონასტრის ეზოში შევიდნენ და იქ გააგრძელეს ღრეობა.

მეუფემ მონასტრის ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ცხვრის დაკვლაც აკრძალა. ამას თავიდან უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, მაგრამ ახლა ყველა შეეგუა.

ცოტა ხნის წინ კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოლიციამ, მეუფის გადაწყვეტილებით, ალავერდის მიმდებარე ტერიტორიიდან გარემოვაჭრეები აყარა. პოლიციამ ფაცხებიც დაშალა. ახმეტელმა სამართალდამცავებმა განმარტეს, რომ მათ ეს სასულიერო პირების მოთხოვნით გააკეთეს.

სოფელ ალავერდის მოსახლეობასა და მონასტერს შორის დაპირისპირება ამით არ დასრულებულა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, გუშინ ალავერდის მოსახლეობამ მონასტრის ბერების წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გამართა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტი იტყობინება, აქციაში სოფელ ალავერდში მცხოვრები 50-მდე ადამიანი მონაწილეობდა.

აქციის მონაწილეების თქმით, მონასტერში მოღვაწე ბერები მათ ფიჩხის შესაგროვებლად და სოკოს მოსაკრეფად ტყეში არ უშვებენ.

– მონასტრის წინ დიდი ორმო გათხარეს ტუალეტის ასაშენებლად. ამ ადგილზე სასმელი წყლის მილები გადიოდა. ამოთხრის დროს დაამტვრიეს და სოფლის ნაწილს წყალი აღარ აქვს. როგორ შეიძლება, სასმელი წყლის მილი ტუალეტის ქვეშ იყოს მოქცეული? ვთხოვეთ, რომ ტუალეტი სხვაგან აეშენებინათ, მაგრამ გვითხრეს, ჩვენ როგორც გვინდა, ისე იქნებაო. ეკლესიის უკან კედელი გამოთხარეს და


[კახეთის საინფორმაციო ცენტრი]

კარი შეაბეს მარანში შესასვლელად. ეკლესიის უკან სოფლის სასაფლაოა. გზა რომ მიეყვანათ მარნის კართან, რამდენიმე ძველი საფლავი უშლიდათ, მიცვალებულები ამოთხარეს, ქვემოთ ორმო გაჭრეს და ძვლები იქ ჩაყარეს. არც საძოვრებზე გვიშვებენ. მავთული გააბეს და გვითხრეს, ჩვენია და საქონელი არ შეუშვათო. აბრა აქვთ გამოკრული, სადაც აწერია, რომ შესვლა აკრძალულია. განა ცუდია, კარგია, რომ მონასტერი ფართოვდება, მაგრამ სოფელი ხომ არ უნდა აიყაროს აქედან? ყველანაირად შეგვზღუდეს, – აღნიშნა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბრისას.

აქციის მონაწილეებთან მონასტრიდან ალავერდის ეკლესიის მოძღვარი მამა იოსები გამოვიდა, თუმცა, ჟურნალისტების დანახვისთანავე მან ტერიტორია უკომენტაროდ დატოვა.

აქციის მონაწილეების თქმით, მანამდე მოძღვარმა უკმაყოფილო ხალხს უთხრა, რომ ისინი სექტანტები არიან და ეკლესიას ამიტომ ებრძვიან.

– ეკლესიაში შევდივართ, ვლოცულობთ, სანთელს ვანთებთ, ქრისტიანი მართლმადიდებლები ვართ. ეგენი სექტანტებს იმიტომ გვეძახიან, ხმა რომ ამოვიღეთ, – შესჩივლეს კახეთის საინფორმაციო ცენტრს აქციის მონაწილეებმა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა სოფელსა და სასულიერო პირებს შორის უთანხმოება ხდება. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს პრობლემა მოგვარდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზოგიერთ პოლიტიკოსს ეკლესიის წინააღმდეგ ახალი სალაპარაკო გაუჩნდება.

ძნელი სათქმელია, ამ შემთხვევაში ვინ არის მართალი და ვინ – არა. თუმცა, ასეთი ფაქტი ძალიან უსიამოვნოა როგორც ეკლესიისთვის, ასევე მოსახლეობისთვის.

# ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლა მის რეიტინგს გაზრდის

## გოკა გაბაშვილი დიდი ხანია ზღვარგადასულ იდიოტობებს ლაპარაკობს

თამარ ნინიძე

**ხელისუფლებამ მთელი თავისი პროპაგანდისტული მანქანა ჩართო, დეპუტატებითა და მისი მედია საშუალებებით, რათა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი შექმნას, არც ძალის დემონსტრირებას ერიდება და არც „კომპრომატების“ ფრიალს. „ახალი თაობა“ „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ–ერთ ლიდერს, დავით ზურაბიშვილს ესაუბრა.**




***– ხელისუფლების მხარდამჭერი მედია საშუალებები იუწყებიან, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, ქვეყნის მოწყობასა და კონფლიქტების დარეგულირებაზე თურმე ბიძინა ივანიშვილს არანაირი ხედვა არა აქვს იმიტომ, რომ არ შეუძლია ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია. ადამიანი, რომელიც აქამდე ბიზნესში იყო, ბუნებრივია პოლიტიკის კონკრეტულ თემებზე ამ ეტაპზე მაინც ვერ იტყვის რამეს. როგორია თქვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით?***

– ესენი ხომ ღრმა ცოდნით გამოირჩევიან, კონსტიტუციისადმი განსაკუთრებით სათუთი და ფრთხილი დამოკიდებულებით. სასაცილოა ასეთი ბრალდებები, ერთი ადამიანი ვერ იქნება ყველაფრის მცოდნე, ლეონარდო და ვინჩები არ მოდიან პოლიტიკაში. მთავარი ის გახლავთ, რომ ის შეხედულებები, რაც ბატონ ბიძინას აქვს რიგ საკითხებზე, თავისი წერილების მეშვეობით გადმოსცა. სპეციფიკურ საკითხებში, რაც უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს, მან თქვა, ექსპერტების და სპეციალისტების ჩართვაა საჭიროო. ასეთი გადაწყვეტილებები ფართო მონაწილეობით უნდა იქნეს მიღებული. სულ არ არის საჭირო ყველაფერში თვითონ ერკვეოდეს დეტალურად. ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს რეკორდები აქვთ მოხსნილი არაკომპეტენტურობასა და უვიცობაში. ვერა ქობალია რომ მინისტრად გეყოლება, ვის პროფესიონალიზმზე უნდა ილაპარაკო ან ახლა ბაკურ კვეზერელი, ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრი გვაიმედებს, სოფლის მეურნეობაში ვრჩებიო, რაზე უნდა ისაუბრო.

***– რატომ აირჩია ბიძინა ივანიშვილმა სათანამშრომლოდ ,,რესპუბლიკელები“ და ალასანიას ,,დემოკრატები”?***

– ვერ ვიტყვი, რომ ამით უკმაყოფილო ვარ, ძალიანაც კარგია და ჩემი აზრით, სწორია, მაგრამ მაინც ჩემგან ამაზე კომენტარი არ გამოვა, სჯობს მას ჰკითხოთ. უხერხულია ვილაპარაკო, რატომ ვართ ჩვენ კარგები და რატომ არიან სხვები – ცუდები.

***– ხომ არ იყო ეს არჩევანი განპირობებული მისი დასავლური ორიენტაციით, ვინაიდან ცნობილია, რომ დასავლური კურსის მომხრენი ,,რესპუბლიკელები“ და ,,თავისუფალი დემოკრატები“ არიან?***

– მისი შეხედულებები, რაც მან ჩამოთვალა ია ანთაძესთან ინტერვიუში, ძალიან ახლოს არის რესპუბლიკური პარტიის ხედვებთან, 90%-ით ემთხვევა. ღირებულებებისა და ხედვის ერთობლიობაზეა საუბარი.

***– ივანიშვილმა განაცხადა, რომ არც ერთი ადამიანი დასაკარგი არ არის საქართველოში, ის თანამშრომლობს კობა დავითაშვილთან, რომელმაც ამერიკის საელჩოსთან საპროტესტო აქცია გამართა.***

– ვიღაცას ამერიკა მოსწონს თუ არა, ამის მიხედვით ადამიანს არ განსჯიან. მან აირჩია პოლიტიკური პარტნიორები პარტიულ დონეზე, დანარჩენ პარტიებთან და ადამიანებთან აქვს ურთიერთობა და ეს ბუნებრივი პროცესია. ვისაც შეუძლია პოზიტიური წვლილი შეიტანოს ქვეყნის მშენებლობის საკითხებში, რატომ უნდა იყოს გარიყული. ამ პროცესში მთელი საზოგადოება უნდა იყოს ჩართული.

***– გამყოფი ხაზი უკვე გავლებულია, საპარლამენტო პარტიების გვერდით ნახსენებია ,,ქართული პარტია”, რომელთანაც ივანიშვილი არ ითანამშრომლებს. საინტერესოა ამ გადაწყვეტილებაზე ,,რესპუბლიკელებმა“ ხომ არ მოახდინეთ გავლენა?***

– ჩვენ არ შეგვითავაზებია, მან თქვა ამის შესახებ მკაფიოდ, მე რომ რამე დავამატო, არ იქნება კორექტული.

***– გოკა გაბაშვილი აცხადებს, რომ ივანიშვილის ე.წ. ,,კრიშა“ კანონიერი ქურდი ,,იაპონჩიკი“ იყო, კაპიტალი კი თურმე მას კვანტრიშვილმა გადასცა. ამაზე რას იტყვით?***

– ათას სისულელეს ამბობენ, ამაზე კომენტარიც არ ღირს. ბატონ ბიძინას ამის თაობაზე პასუხი აქვს გაცემული. გოკა გაბაშვილი დიდი ხანია ზღვარგადასულ იდიოტობებს ლაპარაკობს. თუ არ შეიქმნა ორი პოლუსი, სხვაგვარად რაიმე სასიკეთო ცვლილებები ამ ქვეყანაში ვერ განხორციელდება. უნდა იყოს ხალხი ხელისუფლების წინააღმდეგ, სადაც იქნება გამოკვეთილი პოლიტიკური ალტერნატივა. ხელისუფლების პირველ ეშელონს აბსოლუტურად ამოწურული აქვს რაიმე კარგის გაკეთების რესურსი, ამაში ჩვენსა და ალასანიას აზრს იზიარებს ბატონი ივანიშვილიც.

***– ხელისუფლებამ დაიწყო ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლა, ინკასატორების დაპატიმრებით დაწყებული და სახელისუფლებო მედიაში მასზე კომპრომატების ქექვით გაგრძელებული, რამდენად შეაფერხებს მის საქმიანობას პოლიტიკურ ასპარეზზე?***

– ეს მხოლოდ გაზრდის მის პოპულარობას. რაც ხელისუფლებამ გააკეთა, იმდენად აშკარად სულელური და უსამართლოა, რომ ნეიტრალურად განწყობილ ადამიანებსაც კი მის მიმართ კეთილად განაწყობს.

***– ალასანია, ,,რესპუბლიკელები“ და ბატონი ბიძინა საარჩევნოდ ბლოკის შექმნას ხომ არ აპირებთ?***

– როცა ლაპარაკია მჭიდრო თანამშრომლობაზე, არჩევნებში გამარჯვებაზე, კოალიცია იგულისხმება. შეიძლება მან შექმნას თავისი პარტია, ან მოძრაობა, რომელიც საარჩევნო ბლოკად ჩამოყალიბდება, ის შეიძლება იყოს პოლიტიკური შემადგენელიც და საზოგადოებრივიც. ორივე ვარიანტი იხილება. ბატონი ბიძინას გადასაწყვეტია.

***– სახელისუფლებო მედიაში ხმაურია ატეხილი, ივანიშვილს აბსოლუტური უმრავლესობით უნდა მოსვლა პარლამენტშიო. მაგრამ უმრავლესობა აქვს ნაციონალურ მოძრაობას პარლამენტში, ამაზე კი არ საუბრობენ.***

– განსხვავებაა, სააკაშვილის მეშვეობით ისეთი კონსტიტუცია იყო მიღებული, თუ ორი მესამედი არა გყავს პარლამენტში, ვერ ნიშნავ პრემიერ–მინისტრს, ვერ ნიშნავ მთავრობას. თვითონ შექმნეს ეს სიტუაცია. როცა ადამიანი მოდის პოლიტიკაში და ამბობს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების ალტერნატივა ვარო, ხმამაღალი განაცხადი თუ არ გააკეთე, რომ საზოგადოებამ სწორად გაიგოს, ამ ხალხს რომ უთხრა, მე პატარა უმრავლესობით მოვალო, ხალხი ამას არ მიიღებს. სწორი განცხადებაა იურიდიულადაც და საზოგადოებასთან ურთიერთობის კონტექსტშიც. მთავარია, ერთმა პოლიტიკურმა ძალამ არ მოიპოვოს აბსოლუტური უმრავლესობა და თავის ჭკუაზე არ მართოს ქვეყანა.

***– ევროპასთან ინტეგრაციაზე გექნებოდათ საუბარი, რას ფიქრობს ბატონი ივანიშვილი, როგორ წარმოუდგენია მას რუსეთთან ურთიერთობა?***

– ჩვენ არ ვაპირებთ, შევეგუოთ იმას, რომ სამი საელჩო აქვთ ჩვენს ტერიტორიაზე, ამისთვის მუშაობაა საჭირო, ამ რუსეთს არავინ არსად წაიღებს, მეზობელი გავლენიანი ქვეყანა რომ გყავს და ლამის მილიონი ქართველი ცხოვრობს იქ, ბუნებრივია მასთან ურთიერთობა უნდა დალაგდეს. არანორმალურია იმ რეჟიმში თანაარსებობა, როგორიც დღეს არის. ჩვენ უარი არ უნდა ვთქვათ ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციაზე. სამწუხაროდ, ეს ამ ხელისუფლების გადამკიდე, შორეული პერსპექტივაა. სააკაშვილივით არ ვაპირებთ რუსეთი დღე და ლამე ვაგინოთ და ყველაფერი მაინც მას მივცეთ. ასეთი დაძაბული ურთიერთობა და ლანძღვა–გინება არანორმალურია ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის.

***– ბატონ ივანიშვილს აკრიტიკებენ იმის გამოც, რომ მისი განცხადებით ორი–სამი წლით აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას. ამაზე რას ფიქრობთ?***

– მისი ეს პოზიცია ნორმალურია. სწორი მესიჯია, ჩვენ ყველა უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ ერთი და იგივე ადამიანები მარადიულად არ უნდა იყვნენ ხელისუფლებაში. დემოკრატიულ ქვეყნებში ხელისუფლების ცვლა იმას ნიშნავს, რომ პარტია ხან ხელისუფლებაშია, ხან ოპოზიციაში. თავის დროზე ამდენი შეგნება სააკაშვილს რომ ჰქონოდა, დღეს ეს იქნებოდა სხვა ქვეყანა. პროფესიონალ პოლიტიკოსად რომ ჩამოყალიბდეს, ადამიანმა უნდა სცადოს ხელისუფლებაშიც იყოს და ოპოზიციაშიც. თუ სულ ხელისუფლებაში ხარ, უკვე პოლიტიკოსი კი არა, არამედ ჩინოვნიკი ხარ, ოლიგარქი. ბატონ ბიძინას ეძახიან ოლიგარქს, არადა, ოლიგარქი ის არის, ვინც ქვეყანას მართავს, თან ბიზნესიც აქვს. რეალურად ნაციონალები არიან ოლიგარქები.

***– მოქალაქეობის საკითხი თუ დადებითად ვერ გადაწყდა, რას უნდა ველოდოთ ამის შემდეგ?***

– ბატონი ბიძინა ამ საკითხზე ოპტიმისტურად არის განწყობილი, ბრძოლას აპირებს, გასაჩივრდება უმაღლეს ინსტანციებში, ეჭვი მეპარება, იქამდე გათავხედდეს სააკაშვილი იმიტომ, რომ არა აქვს ამის უფლება. ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეს უფლება აქვს, ერთი წელი იყოს საქართველოში. ნებისმიერ შემთხვევაში კოალიცია მაინც შეიქმნება, მისი სახელი იფიგურირებს ამ კოალიციაში, პარტიის ხელმძღვანელი ვერ იქნება, პირდაპირ ვერ მოახდენს თავისი ფინანსური რესურსების გამოყენებას, მაგრამ გამოინახება იმის შესაძლებლობა, რომ შეიქმნას ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ასოცირებული იქნება ბიძინა ივანიშვილთან. ეს უსუსური მცდელობები პოლიტიკურ პროცესებს ვერ შეაჩერებს. ჩვენი პრინციპული პოზიციაა, რომ არ გვინდა რევოლუცია და ადამიანის ჩამოგდება, არჩევნებით უნდა შეიცვალოს ხელისუფლება, აქციებით ხელისუფლება არ უნდა შეიცვალოს, აქციები კონკრეტულ საკითხებზე უნდა გაიმართოს.

***– აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე რომ ჩამოვიდა, მან თქვა, ხელისუფლება დემოკრატიულად უნდა შეიცვალოსო. ნაციონალებმა მათთვის მომგებიან კონტექსტში ახსნეს ეს ფრაზა. თქვენი აზრით, რას გულისხმობდა კლინტონის მოადგილე?***

– მთელი ნაციონალური მოძრაობის წასვლა არ იგულისხმებოდა, მაგრამ პირადად სააკაშვილი რომ აღარ უნდა იყოს ქვეყნის ლიდერი, ეს ქვეტექსტში იკითხებოდა. ხელისუფლების დემოკრატიულად გადაცემა იგულისხმებოდა ამ ფრაზაში. პიროვნულად აღარ უნდათ, რუსეთთან უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობის გამო. პუტინი არ მალავს იმას, რომ პიროვნულად მიუღებელია მისთვის სააკაშვილი, თორემ ნაციონალურ მოძრაობაზე ამას არ ამბობს. რუსეთისთვის სააკაშვილია პრობლემა და არა ნაცმოძრაობა.

# ჯონ ბასი: ამერიკა დაინტერესებულია საქართველოში დემოკრატიის განვითარებით

ნათია ხურცილავა

**ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი გასულ კვირას ბიძინა ივანიშვილს სტუმრობდა. ამერიკის ელჩის გარდა ივანიშვილს თითქმის მთელი დიპლომატიური კორპუსი ეწვია. რა იყო მათი სტუმრობის მიზეზი, ეს გასაგებია.**


ჯონ ბასი

უკვე საუბრობენ, რომ ეს ერთგვარი მესიჯი იყო ხელისუფლებისთვის, რომელმაც ივანიშვილს გამოჩენისთანავე წინააღმდეგობების გაწევა დაუწყო.

საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევას მოჰყვა მისი მეუღლისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა. ეს პროცესი ბიძინა ივანიშვილის შვილის, ბერა ივანიშვილის მეგობრის, დიჯეი რემბოს დაკავებით გაგრძელდა, რომელიც მოგვიანებით საპროცესო შეთანხმებით გაათავისუფლეს.

ადამიანების დაკავების გარდა დააკავეს „ქართუ ბანკის" საინკასაციო მანქანა და ინკასატორებთან და მოლარეებთან ერთად, რომლებიც დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს.

სწორედ ასეთი პერიპეტიები უძღოდა წინ საქართველოში აკრედიტებული ელჩების მისვლას ივანიშვილის რეზიდენციაში.

საქართველოში ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა მოგვიანებით გააკეთა განცხადება თუ რატომ ეწვია ის პირადად ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს.

ელჩი აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში მხარს უჭერს არა რომელიმე ერთ პიროვნებას, არამედ პროცესს.

ამერიკის ელჩი აცხადებს, რომ ის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ქართულ ოჯახებში არის ნამყოფი და ბიძინა ივანიშვილიც ერთ-ერთი მათგანია.

ელჩმა ასევე ისაუბრა იმაზე, თუ რას უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები მხარს.

— ამერიკის შეერთებული შტატები მხარს არ უჭერს რომელიმე კონკრეტულ პირს ან პარტიას, არამედ მხარს უჭერს მთელ რიგ შედეგებს. — ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის კომენტირებისას განაცხადა. — მიმაჩნია, რომ ხალხი ცდილობს, ამოიცნოს გარკვეულ საკითხებში რაღაც სიმბოლური. ჩემი შეხედულებით, ეს ასე არ არის. ჩვენ საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებს ვესაუბრებით სხვადასხვა ადგილებში. საქართველოში ბევრ სხვადასხვა სახლში ვყოფილვარ, ბატონი ივანიშვილი ერთ-ერთი მათგანია. ადამიანებთან გავაგრძელებთ საუბარს იმ ადგილას და იმ დროს, როგორც ეს იქნება შესაძლებელი. — განაცხადა ჯონ ბასმა.

მისივე თქმით, გასულ კვირას ივანიშვილთან შეხვედრისას დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს სურდათ, მიეღოთ ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილისგან, რადგან ის იწყებს პოლიტიკურ კარიერას და დიპლომატებს აინტერესებდათ, თუ რა მოსაზრებები აქვს მას, რა მიაჩნია გამოწვევად საქართველოსთვის და რა გამოსავალს სთავაზობს ის საზოგადოებას.

ამერიკის ელჩი ამბობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებულია საქართველოში დემოკრატიის განვითარებით.

ამერიკის ელჩმა საინტერესო და ყურადსაღები განცხადება გააკეთა. განცხადება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს ეხება.

სწორედ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები განსაზღვრავს მომავალში თუ განვითარების რა გზით ივლის საქართველო.

დაადგება თუ არა ის პუტინიზაციის გზას თუ დღევანდელი პრეზიდენტი დემოკრატიის სტანდარტების შესაბამისად გადასცემს ხელისუფლებას დემოკრატიულ და თავისუფალ არჩევნებში გამარჯვებულს.

ჯონ ბასის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებულია საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებით და არა რომელიმე პიროვნების მხარდაჭერით.

ბასის განცხადებით ქვეყნის მოქალაქეებისთვის უნდა იყოს მისაღები ის შედეგები, რომელიც არჩევნების შემდეგ დაიდება.

—ჩვენ დაინტერესებულები ვართ, რომ დავეხმაროთ საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაში. ქვეყნის მოქალაქეებს, რომ საპარლამენტო არჩევნები მშვიდობიანად ჩატარდეს და ეს შედეგები იყოს საზოგადოებისათვის მისაღები. მნიშვნელოვანია, რომ შემდეგი არჩევნების ციკლი იყოს ლეგიტიმური და დემოკრატიული. — განაცხადა ამერიკის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა.

ბასი ამბობს, რომ საქართველოს ფუნდამენტურად დემოკრატიული განვითარება მომავალში ჩასატარებელ არჩევნებზე არის დამოკიდებული.

საქართველოს დემოკრატიული განვითარება, გაძლიერება და ქვეყნის დემოკრატიული სტრუქტურის გაღრმავება მომავალში ჩასატარებელ არჩევნებზეა დამოკიდებული. ასეთია ამერიკის ელჩის შეფასებები ჩასატარებელ არჩევნებზე.

ამერიკელი დიპლომატის თქმით, ეს ეხება როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნებს.

ელჩის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო პროცესი ჩატარდეს დემოკრატიულ გარემოში და ამისთვის ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი.

— მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მოქალაქეებმა თავად გააკეთონ დასკვნები, პარტიებს ჰქონდეთ კონკურენტულად მოქმედების საშუალება და არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად, მოქალაქეებს ჰქონდეთ ამ არჩევნებისადმი რწმენა. — განაცხადა ჯონ ბასმა.

ამერიკის ელჩის განცხადებით საქართველოში დემიკრატიის კუთხით მას მეტის ხილვა სურს.

კითხვაზე, ხედავს თუ არა ამ მიმართულებით გადადგმულ ხელშესახებ ნაბიჯებს, დიპლომატმა განაცხადა, რომ ის ხედავს ხელშესახებ ნაბიჯებს ამ მიმართულებით, თუმცა მეტის ხილვა სურს.

— ჩვენ ყველანი დავაკვირდებით ვენეციის კომისიის შეფასებას საარჩევნო კოდექსის შესწორებებზე. მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს მუშაობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე. — აღნიშნა ჯონ ბასმა.

# მეკობრეები ქართველ მეზღვაურებში უკვე 9 მილიონს ითხოვენ

შალვა ჯოხაძე

## ქართველი ტყვეების ექსკლუზიური ფოტოები

კარგა ხანია, სომალელი მეკობრეების მიერ გატაცებული ქართველების შესახებ ინფორმაცია აღარ გვსმენია და აი, რამდენიმე დღის წინ, ინტერნეტში მათი ექსკლუზიური ფოტოები გავრცელდა. ამით დადასტურდა, რომ ეს ადამიანები ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და მათი დახსნის შანსიც არსებობს. შანსი კი არის, მაგრამ საშუალებისა რა მოგახსენოთ! ეს მეზღვაურები 400 დღეზე მეტია, რაც ტყვეობაში იმყოფებიან და სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ მათი ვერც გამოსყიდვა, ვერც სხვა მეთოდებით გათავისუფლება ვერ შეძლო. თავიდან მეზღვაურებში 1 მილიონ დოლარს ითხოვდნენ და ამ თანხის მობილიზებაც ვერ მოხერხდა, ახლა კიდევ უფრო რთულადაა საქმე, გამტაცებლები უკვე 9 მილიონ დოლარზე ავიდნენ.

სულ 15 ქართველი და 3 თურქი მეზღვაურია გატაცებული.

დატყვევებული ეკიპაჟის სია ასეთია — საქართველოდან: მემედ ზაქარაძე, შალვა ვერძაძე, დავით დევაძე, თემურ ბედინაძე, ზურაბ შერვაშიძე, გიორგი სირაძე; ელექტრიკოსი ჯაბა კაჭარავა, კოკი თემურ მახარაძე, ნუკრი ჯიჯავაძე, ირაკლი ჯიქიძე, თემურ ვარშანიძე, ანზორ პართენაძე, ასლან დემურაძე, ჯიმშერ ასანიძე, გენადი ტიმოფეევი; თურქეთიდან: იაკუბ ოზთურქი, ფუათ ოზჩელიქი, მუსტაფა არიცოღლუ.





თუმცა ფოტოებზე ყველა არის გამოსახული, აქ მხოლოდ რამდენიმე ტყვეს ვხედავთ, ისიც, საკმაოდ ბუნდოვნად. მეზღვაურების გარდა, ფოტომასალაში შეიარაღებული და ნიღბიანი მეკობრეებიც ჩანან. მეკობრეების მიერ გავრცელებული ფოტოები თქვენ წინაშეა. ისინი დატყვევებული ტანკერის, „ოლიბ ჯის" ბაქანზეა გადაღებული. ფოტოების უხარისხობის გამო, მხოლოდ ერთი ქართველი მეზღვაურის ამოცნობა მოხერხდა, თეთრ მაისურიანი ახალგაზრდა ბათუმელი ირაკლი ჯიქიძეა. ის 28 ოქტომბერს 27 წლის ხდება.

ფოტოსურათების გავრცელებასთან ერთად, მეკობრეებმა გამოსასყიდის თანხის ოდენობაც დააზუსტეს, რასაც ტყვეების გათავისუფლების სანაცვლოდ ითხოვენ. ირკვევა, რომ მათ 9 მილიონი აშშ დოლარის მიღება სურთ. ერთ-ერთმა მეკობრემ აფრიკულ ინტერნეტგამოცემა „სომალი რეპორტს" ანონიმურად განუცხადა: „ჩვენ გამოსასყიდის სახით ვითხოვთ 9 მილიონ დოლარს. უკვე დიდი ხანია ეს გემი დატყვევებული გვყავს, წელიწადზე მეტი გავიდა. ეკიპაჟი კარგად არის, თუმცა ძნელი სათქმელია, კიდევ რამდენ ხანს გაძლებენ".

როგორც ცნობილია, ტყვეების გამოსახსნელად მოლაპარაკებები მიმდინარეობს. „ამერიკის ხმის" ინფორმაციით, ბოლო შეხვედრა ტანკერ „ოლიბ ჯისა" და მისი ეკიპაჟის ბედის გადასაწყვეტად პარასკევს გაიმართა. მეკობრეების წარმომადგენლებს გემთმფლობელის, ბერძნული კომპანია „ფრო ვენტურეს" ადვოკატები შეხვდნენ. მხარეებს მნიშვნელოვანი საკითხები უნდა შეეთანხმებინათ, თუმცა სხვა დეტალები უცნობია. შეხვედრის შესახებ საქმის კურსში იყო, საბერძნეთში საქართველო საელჩო, თუმცა ელჩმა ირაკლი თავართქილაძემ კომენტარზე უარი განაცხადა.

ელჩის მდივანმა ანა უძილაურმა ჟურნალისტებს განუცხადა: „სამწუხაროდ, ნოემბრის პირველ რიცხვებამდე კომენტარს ვერ გავაკეთებთ და ინფორმაციას ოფიციალურად ვერ მოგაწვდით. ნოემბრის პირველ რიცხვებში თავად ელჩი გააკეთებს ამ საკითხზე ოფიციალურ კომენტარს".

მეკობრეებმა დააზუსტეს ადგილიც, სადაც ტანკერ „ოლიბ ჯის" ღუზა არის ჩაშვებული. სომალის არაღიარებულ ანკლავ პუნტლენდიდან გემი მათ ცენტრალური სომალისკენ წაუყვანიათ. ტანკერი ღია ზღვაში კიდე ერთი სეპარატისტული ანკლავის — მუდუქის საპორტო ქალაქ ჰარარდჰერესთან დგას. ეს ქალაქი მეკობრეობის ერთ-ერთ მექად მიიჩნევა.

დატყვევებული მეზღვაურის, თემურ მახარაძის მეუღლე მაყვალა მახარაძემ „ამერიკის ხმას" ასეთი ინფორმაცია მიაწოდა:

„ხუთშაბათს აჭარის მთავრობაში სამი დატყვევებული მეზღვაურის მეუღლე მიგვიღეს. ათენიდან გვესაუბრა ელჩი ირაკლი თავართქილაძე და მისი სიტყვები იყო, რომ პარასკევს, 21 ოქტომბერს გადაწყდებოდა, როდის იქნებოდა ფული შეგროვებული და რა თანხაზე იქნებოდა საუბარი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენი მეზღვაურები გათავისუფლდებიანო. ანუ ვერც ერთი სახელმწიფო მოხელე მეზღვაურების გათავისუფლების თარიღს, დღეს, თვესა და წელს ვერ ასახელებს".

შეგახსენებთ, რომ მალტის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერი „ოლიბ ჯი" სომალელ მეკობრეებს 2010 წლის 8 სექტემბერს ადენის ყურეში ჩაუვარდათ ხელში. უკვე მე-13 თვეა, მოლაპარაკება უშედეგოდ მიმდინარეობს. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თავიდან მეკობრეები 15 მილიონ დოლარს ითხოვდნენ, შემდეგ კი 1 მილიონზე ჩამოვიდნენ. ახლა კი, როგორც აღვნიშნეთ, 9 მილიონს მოითხოვენ.

თუ რას აკეთებს სახელმწიფო ტყვეების გამოსახსნელად, ამის შესახებ ინფორმაცია უახლოეს მომავალში უნდა გაცხადდეს.

მესაზღვრეების გამოსახსნელად ზრუნავს პროფკავშირებიც. მათი წარმომადგენლები პერმანენტულ აქციებსაც კი მართავდნენ, რათა დაკავებულების გასათავისუფლებლად საჭირო თანხის მობილიზება მოეხდინათ. პროფკავშირების ინფორმაციითაც, მოლაპარაკებების წარმოება და მეზღვაურების გათავისუფლების ვალდებულება საკუთარ თავზე გემის მფლობელმა აიღო და ამ პროცესს ის უძღვება. აღსანიშნავია, რომ მეზღვაურებს ადრეც იტაცებდნენ, თუმცა ერთბაშად ამდენი ქართველი მეზღვაურის გატაცების ეს პირველი შემთხვევა იყო. როგორც წესი, ტყვეებს ადრეც უშუალოდ გემთმფლობელების ჩარევის შედეგად ათავისუფლებდნენ. როგორც წესი, სახელმწიფო სტრუქტურები გამტაცებლებთან, კრიმინალებთან მოლაპარაკებებში არ შედის.

პროფკავშირებმა გატაცებულთა გამოსახსნელად ერთ დროს ფასიანი სატელეფონო ნომერიც გამოაცხადეს, საქველმოქმედო კონცერტიც გამართეს, თუმცა საჭირო თანხა მაინც ვერ შეაგროვეს. არადა, მილიონი დოლარიდან 350 ათასს ბერძნული მხარე იხდიდა, საქართვლოში კი დარჩენილი თანხის მობილიზება უნდა მოხერხებულიყო. მათი ინფორმაციით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანები უფრო აქტიურობდნენ, ამიტომაცაა, რომ სულ 50 ათასამდე შევაგროვეთ. სხვათა შორის, აქციის ფარგლებში გასაჭირში მყოფი თანამოქალაქეების დახმარების თხოვნა 150-ვე დეპუტატსაც დაეგზავნა, თუმცა მათგან გამოხმაურება არ ყოფილა.

## თბილისსა და ქუთაისში ჯანმრთელობისათვის საშიში ხორცპროდუქტები აღმოაჩინეს

თბილისსა და ქუთაისში ჯანმრთელობისათვის საშიში ხორცპროდუქტები აღმოაჩინეს, — ამის შესახებ გაზეთ ,,პრაიმ ტაიმის" პრესკლუბში მომხმარებელთა ფედერაციის ხელმძღვანელმა მადონა კოიძემ განაცხადა.

მან ჟურნალისტებს უცნობი კომპანიის ,,ნახევრად შებოლილი" და კომპანია ,,ახალი ნობათის" წარმოებული ,,უკრაინული სუთი" წარუდგინა, რომელთა მიღებაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია.

კოიძის თქმით, მომხმარებელთა ფედერაციამ მონიტორინგი თბილისისა და ქუთაისის ბაზრებსა და სავაჭრო ცენტრებში ჩაატარა.

,,ჩვენმა წარმომადგენლებმა 20 დასახელების სხვადასხვა პროდუქტი შეიძინეს და აქედან 11-ში ჯანმრთელობისათვის საშიში ბაქტერია აღმოაჩინეს"— აღნიშნა კოიძემ.

მისი თქმით, ნაკლოვანება აღმოჩნდა ფირმა ,,ზეიკიძე+", შპს ,,ეკომეთის", ,,რუსთავის", ,,ბაკალეა გასტრონომიას" და ხუთი გაურკვეველი ფირმის მიერ წარმოებულ პროდუქციაში.

შესწავლილი პროდუქციიდან დადებითი შეფასება მიიღო ,,იოლის", ,,ნიკორას", ,,კავკასია პლუსის", ,,ლიდერფუდის", ,,გერმანული ყასაბის" და ,,შაორის" ხორც პროდუქტებმა.

კოიძის განცხადებით, რამდენიმე სახის პოდუქტზე მითითებული არ იყო არც მწარმოებელი და არც დამზადების ადგილი.

,,პროდუქტები სავაჭრო დაწესებულებებში ყოველგვარი ჰიგიენური პირობების დაცვის გარეშე იყიდებოდა. იმის გამო, რომ ეს პროდუქცია დაბალფასიანია, მას მომხმარებელთა დიდი რაოდენობა ყიდულობდა"— განაცხადა კოიძემ.

მედიანიუსი

# ზურა შიოლაშვილმა ნიცშეს „ჭკვიანი იდიოტი“ უწოდა

*აფორიზმები არსებითად არისტოკრატული ჟანრია ჩანაწერების, –'აცხადებს ბ.ჰ. ოუდენი. აფორიზმების შემქმნელი არ კამათობს ან განმარტავს რამეს. ის გვიდასტურებს.*

*მე მომწონს აფორიზმები, მათი პატარა შემცველობის სტრიქონები, რომლებიც გვთავაზობს, მოათავსოს დიდი ჭეშმარიტება მცირე ფორმაში. ზურა შიოლაშვილი ერთ-ერთი მცირეთაგანია, ვინც ირჩევს ამ რთულ ფილოსოფიურ ფორმას თავის წიგნში „აფორიზმის ხელოვნება და ნიცშეს ბრმა ვნება“. ზურა თავისი ორიგინალობით გარკვეულად იყენებს ნიცშეს საკუთარ აფორიზმს, განავრცობს განმარტების სახით და შემდეგ უარყოფს მას. მაგალითად, ის გვთავაზობს ისეთ სიმწვავეს მოკლებულ აფორიზმს, როგორიცაა „ქრისტიანობა სილამაზის განსხეულებაა'ნიცშეს სანაცვლოდ“. მე ვუწოდებ ქრისტიანობას ერთ ყველაზე დიდ წყევლას'ან შიოლაშვილის ისეთი ღრმააზროვანი, როგორიც არის „სიყვარულის მოპოვება ყველაზე დიდი შურისძიებაა“ ან ისეთი, როგორიც „დამპალს მატლები თუ ემუქრებიან, რისი მიზეზიც მისი სიდამპლეა და არა მატლების არსებობა“.*

*მე ვერ ვიტყვი, რომ ის შთამაგონებს მე და მაშინ მე არ ვარ შთაგონებული ქრისტიანობის მიერ, მაგრამ ის ძალიან ძლევმოსილად დემონსტრირებს სულიერი ძალაუფლების სიმძლავრეს, როგორც ქრისტიანული სიყვარულის ძალას, რასაც ბატონი შიოლაშვილი აცხადებს.*

*„სულიერი ფასეულობები სიმბოლურობენ ფიზიკური განცდების ჭეშმარიტ სახეს“.*

***გლინ ლოიდ ჰიუსი***

თავის თვალწარმტაც წიგნში „აფორიზმის ხელოვნება და ნიცშეს ბრმა ვნება“ ზურა შიოლაშვილს ნიცშე კრიტიკის ქარცეცხლში ჰყავს მოქცეული. მის აფორიზმებში ასევე სიბრძნის სიღრმეა გამოვლენილი, რომელიც უმაღლესად პოზიტიურია. ზოგი მისი გამონათქვამი ამოუცნობია, ისეთი, როგორიც, მაგალითად, „მუსიკა ახანგრძლივებს მარადიულობას“, ხოლო ბევრ ვითარებაში მე ვერ გავაკეთებდი უფრო მეტს, ვიდრე მეთქვა და ეს ზუსტად ასეა, როდესაც ის აღწერს:

„დაადგე ჭეშმარიტების გზას, ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დაიბადო – განვლო ასეთი გზა, უფრო მწარე, ვიდრე სიკვდილი“.(114)

„ქვეწარმავალს ვერ დააჩოქებ – მას მუხლები არ გააჩნია“.(195)

„კაცი მხოლოდ ღმერთშია კაცი“.(208)

***დიოკლიის მიტროპოლიტი კალისტოსი.***

**http://www.zuraartphilos.co.uk/about_me/about_me.htm**

ნგლისურმა ჟურნალმა „ფილოსოფოსმა“, რომელიც დაფუძნებულია ინგლისის ფილოსოფოსთა საზოგადოების მიერ 1913 წელს და რომელიც გამოიცემა წელიწადში ორჯერ, 2011 წლის მეორე გამოცემაში გამოაქვეყნა მარტინ კოენის რამდენიმე მიმოხილვა, მათ შორის ორი წიგნის ერთდროული მიმოხილვა სახელწოდებით „ნიცშეს დეკონსტრუქცია“, რომლის მიმოხილვაში შეტანილია „ნიცშე და მორალი“'(ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა) ბრაინ ლეიტერის და ნეილ სინაჰაბაბუს მიერ და „აფორიზმის ხელოვნება და ნიცშეს ბრმა ვნება“'(დავით მეფის გამომცემლობა) ზურა შიოლაშვილის მიერ.

ზურა შიოლაშვილის წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ: „ნიცშეს რომ სცოდნოდა, თუ როგორ იქნებოდა ის გაშიშვლებული და გამასხარავებული, ის დაიჩოქებდა მუხლებზე და დაიწყებდა ლოცვას... ამ მხრივ, ჯერჯერობით პასუხი დუმს ნიცშეს სამყაროდან და ჩვენ მხოლოდ ვიმედოვნებთ, რომ ეს დუმილი ადრე თუ გვიან იქნება დარღვეული, რადგან დუმილი ყოველთვის ნამდვილად ვერ ჩაითვლება სიბრძნის ნიშნად...“

ნიცშეს დეკონსტრუქციის მიმოხილვის ავტორი მარტინ კოენი ინგლისელი ფილოსოფოსია, ინგლისურ ჟურნალ „ფილოსოფოსის“ მთავარი რედაქტორი. მარტინ კოენი მრავალი ფილოსოფიური წიგნის ავტორია. მისი წიგნები „ფილოსოფიის 101 პრობლემა“ და „101 ეთიკური დილემა“ ითარგმნა თხუთმეტ ენაზე და, როგორც ბესტსელერმა, გაყიდვის რაოდენობამ მიაღწია 25 მილიონს.

როგორც სულიერი კულტურის წარმოჩენა, მის მსგავს ფასეულობების მცირეოდენ წილად მე მსურს შემოგთავაზოთ მიმოხილვის „ნიცშეს დეკონსტრუქციის“'ქართული ვერსია, რომელიც მძაფრად წარმოაჩენს „დასავლური'ათეისტური ფილოსოფიისა და ქრისტიანული (მართლმადიდებლური) ესთეტიკის შეუთანხმებლობასა და დაპირისპირებას სულიერ და შემეცნებით პაექრობაში“.

***ირაკლი გიორგობიანი 23 ოქტომბერი, 2011 წელი, ლონდონი***

## „ნიცშეს დეკონსტრუქცია“

რას ვიქმნით ჩვენ ნიცშესგან? ფილოსოფია სახლდება სივრცეში ფაქტით და ბელეტრისტიკით, რომელიც არსებობს ორ აზროვნებაში. როგორც კი რაიმე ნივთი ერთაზროვანია, ის კარგავს თავის ინტერესს ფილოსოფოსებისთვის და მაინც თუ რაიმეს არ ძალუძს, იყოს პირდაპირ დოგმატური, ფილოსოფოსები ძალიან სწრაფად გვერდზე დებენ მსგავს საკითხს და უტოვებენ ასეთი სივრცის არეალს უბრალოდ ბელეტრისტიკის მოყვარულ მწერლებს. ნიცშეს ჩანაწერები შეეფერება არაერთაზროვანი ფილოსოფიის ტრადიციებს. ცოტაოდენმა ფილოსოფოსებმა თუ გამოიწვიეს ასეთი განსხვავებული შეფასებები. ნიცშე დამცინავი მონსტრი და ორსახიანი დემონია, როგორც ზურა შიოლაშვილი შთაგვაგონებს, თუ შეძლების საუკეთესო გამოსავლის მიზეზთა ქმედების ნეიტრალური კონსეკვენციალისტი, როგორც თომას ჰურკა გვისაბუთებს? შემოქმედების ზნეობას გვთავაზობს ის თუ დაპყრობის ბარბაროსულ ეთიკას? აშკარად ჩანს, რომ ას ორმოცდაათი წლის ფილოსოფიურ დებატებს არ მოჰყოლია ჯერ კიდევ ნათელი ნიცშეს ფილოსოფიის ყველაზე ძირითად პრინციპებს, თუმცა, ერთი რამ არის ის, რაც გარკვეულად შეიძლება ითქვას. პირველ რიგში, ნიცშეს ზეგავლენა არის განუსაზღვრელად დიდი და მეორე, თუ არსებობს გარკვეული თანხმობა, თუ როგორ უნდა იყოს განმარტებული მისი ბუნდოვანი ჩანაწერები – შეთანხმება მიღწევადია, რომ ის არ ამბობს „ჩვეულებრივ სათქმელს“. ხშირად კომენტატორები პოულობენ, რასაც ეძიებენ და ამ ძიების სიღრმეში ნიცშეს ჩანაწერები არის ერთგვარი შემოთავაზებული რეცეპტი, თუ როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა – ვით ფსიქოლოგიისა და პოლიტიკის შერწყმა გახვეული ეთიკურ ენაზე. რედაქტორები ლეიტერი და სინჰაბაბუ ხედავენ, როგორც სავალალოს და ამტყუნებენ ფილოსოფოსებს, რომლებიც უარყოფენ ნიცშეს იდეებს. ისინი მიიჩნევენ, რომ აანაზღაურეს ისტორიულად გამოტოვებული მისი ღვაწლი წიგნის კრებულის სახით, რომელსაც ისინი უწოდებენ „ნიჭიერ მორალურ ფილოსოფოსებს“ – ცოტა გაზვიადებულია განსაკუთრებული ქროლვა ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხატმებრძოლის შესახებ, მაგრამ მაშინ ალბათ არ არის უცნაური ერთ-ერთი მათი მოსაზრების მიხედვით, რომ ნიცშე არც ერთ შემთხვევაში არ არის უცხო პირი ფილოსოფიურ პანთეონში და სრული პატივით უნდა იმყოფებოდეს არისტოტელესა და კანტის გვერდით (რედაქტორების არჩევნის მაგალითი...). „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ნაშრომების კრებული გამოყოფს ნიცშეს, როგორც თანხვედრ ფიგურას მორალურ „ფილოსოფიაში სხვა ისტორიულ დიადებთან“ და მართლაც რომ სამსახური გაუწიონ ნიცშეს ზენიტში ყოფნას თავიანთი წვლილით. ამ გამოცემულ წიგნში ჩვენ გვარიანად ვაწყდებით ფილოსოფიურ ისტებლიშმენტს: კემბრიჯის პროფესორებს დიდი ბრიტანეთიდან, ლექტორებს ჰარვარდისა და იელის ამერიკის უნივერსიტეტებიდან, ასევე ინგლისურ-ამერიკული ტრადიციების წარმომადგენლებს კანადიდან. ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კრებულის აღქმის მსოფლიო „მორალის ექსპერტებისგან“'არის მათი ნიცშეს ზნეობის ენთუზიასტური დაფასება მისი მრავალფეროვანი შემოქმედებისა და აკადემიური მოწყობილობით ავტორები ქმნიან გესლიანი ჩანაწერების თეორიას ზედმიწევნითი სიფაქიზით და ფალსიფიკაციით. თომას ჰურხა თავის შესავალში მიიჩნევს, რომ „პერფექციონიზმი (რომლის შეხედულება მორალური სათნოებაა – იგივე, რაც ოსტატობის მიღწევა) არის აზრის გასაღები ნიცშესთან მიმართებით და ეს ყოველივე ხსნის მის ფორმულას, რომელიც, უნდა ითქვას, ენთუზიასტურად იყო ათვისებული ნაცისტების მიერ „ზეკაცის დაუბრკოლებელი ძალაუფლებისთვის.“ თომას ჰურხა კითხულობს და მიიჩნევს ნიცშეს, როგორც ის წარმოთქვამს „შეძლების საუკეთესო გამოსავლის მიზეზთა ქმედების ნეიტრალურ კონსეკვენციალისტს“. რედაქტორები თავიანთი პროფესიის სტილით აღწერენ ყოველივეს უშედეგოდ, ჩამატებული წინამორბედი ციტატის მიუხედავად, განპირობებულმა მიზეზმა უნდა იმოქმედოს ისე, რომ პიროვნება, რომელიც ყველაზე აღმატებულია, მიაღწიოს ყველა შესაძლებლობაზე აღმატებულს.

შემდეგი ნარკვევი „ნება ძალაუფლებისა და შემოქმედების ეთიკა რეჯინსტერის მიერ“ ასევე იღებს სათავეს „ძალაუფლების მეუფეობასთან“ გაგებასთან კავშირში. არგუმენტირებას ახდენს რა ესთეტიკური უზენაესობის სახეობაზე (შემოქმედების ეთიკა) ცხოველური წადილის ადგილას.

ნიცშესეულ „ცხოველურ ფსიქოლოგიაში კანტის ეთიკის წინააღმდეგ“ კი ცოტათი საწინააღმდეგოა მატის რისის განცხადება, რომ პრობლემა ტრადიციული ეთიკის მხრიდან (პლატონისა და კანტის სტილში) იმყოფება იმაში, რომ უკეთესია გადაწყვეტილების მიღება პირადი ინტერესის გამორიცხვის თვალსაზრისით, ხოლო ნიცშესეული მონაცემის შეღწევა არსში, რაზეც მატის რისი ხელს აწერს, სუბიექტურობისა და ეგოიზმის შექმნაა უმთავრესი ზნეობაში, ხოლო თუ ეს ჭეშმარიტებაა, მაშინ კითხვა შეიძლება გაგვიჩნდეს, როგორ შეიძლება იყოს განსხვავებული ასეთი მიდგომა ჩვეულებრივი უტილიტარიზმისგან?

ჯოშუა ნობისა და ბრაინ ლეიტერის ერთობლივ ძალისხმევაში „ვითარება ნიცშესეულ მორალურ ფსიქოლოგიაში“ ავტორები მიჰყვებიან თემას კვაზი-ემპირიული დიაპაზონის განხილვით, ემპირიული ფსიქოლოგიიდან და ქცევადი გენეტიკის განხილვით, რომ დაგვისაბუთონ ნიცშეს იშვიათი სიღრმისეული გაგება, თუ როგორ მუშაობს გონება – განსაზღვრულად რომ ადამიანები იბადებიან გარკვეული ფსიქო-ფიზიკური თვისებებით, რომლებიც მეტწილად განსაზღვრავენ მათ საქციელს და სწორედ ის ფსიქოლოგია უნდა წარუძღვეს ეთიკას და არა აბსტრაქტული თეორიები.

ბოლო ორი ნარკვევი ერთ-ერთი კრებულიდან დჯეი უოლასი და კრისტოფორ ჯენეუეი აანალიზებენ უფრო კონვენციური სტილით ნიცშეს ზოგიერთ კომენტართან დაკავშირებით. უოლასი სწევს საკითხს ნიცშეს „მორალის გენეალოგიაზე“, რომ საყოველთაოდ მიღებული მორალი სუსტი და დათრგუნულის – მონის წადილს, უფლებას ამტკიცებს, რომ ძალაუფლების მოპოვებაა საჭირო მათ მფლობელებზე, იკამათონ, რომ ნიცშეს სიღრმისეულობა უფრო მეტად საჭიროებს დათრგუნულს, რომ წარმოაჩინოს თავისი თეორიები, რომლებიც ამართლებს მათ მდგომარეობას ამ უფლებების მოსაპოვებლად და არა ფაქტობრივად შეცვალოს ეს მდგომარეობა.

ჯენეუის ნაშრომი, დამნაშავე, მანკიერი ნამუსი, თვითდასჯა'ნიცშეს გენეალოგიაში წარმართავს ყოველივეს ცოტათი უფრო შორს. ის კითხულობს ნიცშეს, როგორც გამოვლენას ადამიანის დამახასიათებელი წადილისა, მიაყენოს ტანჯვა სხვებს და, როდესაც ეს წადილი აღკვეთილია, ის გარდაიქმნება თავის თავში დანაშაულის შეგრძნებით. შემდეგ ჯენეუის საკმაოდ დაგვიანებულად მოჰყავს ქრისტიანობის როლის შესახებ ნიცშეს ეთიკაში: ქრისტიანულმა მორალმა გააძლიერა ამ დანაშაულის შეგრძნება ადამიანური „ბუნებრივი სურვილისთვის“ – სასჯელის მისჯით იმისათვის, რომ მიაყენოს ტანჯვა სხვებს. ე.ი. რაც მიუთითებს დომინირებას ეგოისტური დაკმაყოფილების ძიებაში, მაგრამ ქრისტიანობა ასევე უზრუნველყოფს ახალი გზების მთლიან წყებას, რომ ხალხი შეიძლება იყოს დასჯილი.

დიდი ნაწილი ამ აკადემიურ დებატებში ისევ ვლინდება საკმაოდ ელეგანტური ფორმით შიოლაშვილის მოხდენილობაში მეტად ექსცენტრიკულ წიგნში „აფორიზმის ხელოვნება და ნიცშეს ბრმა ვნება“. შიოლაშვილი სრულყოფილად ნათლად არის გათვითცნობიერებული კონვენციური არგუმენტებით და ისევე, როგორც ნიცშე, ამჯობინებს ჩანაწერების ფორმას ლიტერატურული აფორიზმების უცნაური შერწყმით, ტექსტობრივი ციტატებით და რთული მრავალაზროვნული ანალიზით. ამ მხრივ შიოლაშვილი ნიცშეს შეუცბუნებელი კრიტიკოსია და ასევე მისი მიმდევრების. მეორე მხრივ, სადაც ინგლისურენოვანი კომენტატორები ოპერირებენ მოწყობილი რაციონალური სამყაროდან, შიოლაშვილი ქართველი ფილოსოფოსია, ფართოდ განვრცობილი მისტიკური ტრადიციების ქვეყნიდან, სადაც ქრისტიანობის ჭეშმარიტი ღირებულების შენარჩუნება არის უმთავრესი. ალბათ მის წიგნზე შეიძლება ითქვას: „განსაზღვრული სახის მოაზროვნე ცნობს განსაზღვრული სახის მოაზროვნეს“.

შიოლაშვილი გახსნილად იწყებს ძიებას იმ პერსპექტივებიდან, რომელიც ეძიებს დაიცვას ქრისტიანული ჭეშმარიტება მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე მჭევრმეტყველი ანტიქრისტეს დამჭკნარი აფორიზმებისგან, მაგრამ ის არ არის მისი მხოლოდ მებრძოლი რიტორიკა, აქ ნამდვილად ვაწყდებით გულმოდგინე და ფილოსოფიურ არგუმენტს. იყენებს რა ნიცშეს საკუთარ სიტყვებს, როგორც დამწყებ პუნქტს და ორივეს, როგორც მის ჩვეულებრივ განკუთვნილ ნამუშევრებს, ასევე არც ისე დიდი ხნის წინ გამოცემული ჯერ კიდევ შეუფასებელი კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობის სერიიდან. ის წინა ხედზე წარმოაჩენს ნიცშეს ფილოსოფიის ასპექტებს, რომელსაც, ჩანს, უნდა გაევლო ხელიდან ხელში ბევრ „ნიჭიერ და მორალისტ ფილოსოფოსებს“'ელიტურ კოლეჯებში, რადგან მართლაც აშკარად ჩანს ზერელე ხედვითაც, რომ ნიცშეს წიგნებს ჰქონდა უარყოფითი მოტივაციები, რომელსაც კრიტიკოსები მიაწერდნენ მას, ვიდრე პოზიტიური, რომლებსაც ეძიებენ მისი მხარდამჭერები, რომ ამოიკითხონ იქ.

„მე ვაფასებ ქრისტიანობას, როგორც ცდუნების ყველაზე კატასტროფულ ტყუილს, რომელიც ოდესმე ყოფილა, როგორც დიდ ბიწიერ ტყუილს... ომი უნდა იყოს გაჩაღებული მის წინააღმდეგ“.

შიოლაშვილისთვის ნიცშეს განცხადება, რომ „ღმერთი არის მკვდარი“ კონსტანტირებს ცხოველური ბუნების წადილის აბსოლუტურ პრიორიტეტს გონის ამაღლებულ ბუნებაზე. ნიცშეს მიერ დანახული თავისუფალი ნება არის ღირსება, რომელშიც ცნობიერება არის მხოლოდ ადამიანიური გრძნობის ხელსაწყო. ერთი სიტყვით, ნიცშეს სჯერა, რომ გონება უნდა იმართებოდეს ემოციური ინსტინქტით დაკავშირებულს ადამიანის ნებასთან. ამით შიოლაშვილი აბრუნებს ამ ყოველივე ციტატას ნიცშეს ბოლო ჩანაწერებიდან, რომელიც გადმოგვცემს: „ცხოველური მოვალეობანი ადამიანურ ბუნებაში, ბოლოს და ბოლოს, პრინციპში, მილიონჯერ მნიშვნელოვანია, ვიდრე ცნობიერების ყველა ლამაზი მდგომარეობა და მისი სიმაღლე“. შიოლაშვილის წიგნი სავსეა არაჩვეულებრივი პერსპექტივებითა და არგუმენტებით. ის ამბობს, მაგალითად, ნიცშე, რა თქმა უნდა, მართალია, როდესაც აცხადებს, რომ ცხოველებს არა აქვთ არავითარი რელიგია, მაგრამ მათ შორისაც არიან როგორც ძლიერნი, ასევე სუსტნიც. ეს არ ხდება რელიგიის ღირებულების გამო, არამედ ბუნებისთვის თავისთავად. ირემი ვერასოდეს გადაიქცევა მგლად ან ვირი – ირმად. თუ უწყინარი კურდღელი მშიშარაა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის უნდა იყოს მოძულებული, არამედ უფრო მეტად შესაყვარი, რაც წარმოადგენს ნამდვილი მიწიერი ცხოვრების სიყვარულს, რომელიც „ზარატუსტრამ, როგორც ნიცშეს სიბრძნის უმაღლესმა წარმომადგენელმა“, ვერ შეძლო დაენახა, არამედ დასცინა და გაამასხარავა.

ნიცშეს რეცეპტს „ძალაუფლის მეუფებასთან“ მიმართებით შიოლაშვილი განიხილავს, როგორც აბსურდულს: „როგორ შეძლებს მგლის ხახაში ჩავარდნილი შველი წინააღმდეგობის გაწევას, თუ მისი ხვედრით ის მოვლენილია, როგორც სუსტი თავის სილამაზეში?“ ეს იმიტომ, რომ ჩვენი არსებული სამყარო დარდისა და სილამაზისგან არის განუყრელი. ასეთია ბუნებრივი სამყაროს პესიმისტური რეალობის თანდაყოლილი ლოგიკა ნიცშეს აღიარების გარეშე... ისე, რომ ნიცშეს ფსიქოლოგიური მეტამორფოზითა და „ძალაუფლების მეუფებისთვის შველი უნდა გადაიქცეს მგლად, რომ გახდეს ძლიერი და გადაირჩინოს სიცოცხლე, უარყოს რა თავისი სილამაზე და სინაზე. თავის ბარბაროსულ ზნეობაში ნიცშეს არ სურს დაინახოს, რომ ყოველი, რომელიც სუსტია, არ არის მახინჯი და ყოველი, რომელიც ძლიერია, არ არის ლამაზი“.

ამ დებატებში შიოლაშვილი კორექტულად უბრუნდება შოპენჰაუერის ჩანაწერებს (ბერნარდ რეჯინსტერი თავის ნარკვევში „ნიცშე და მორალი“'ერთადერთია ასევე ამ წიგნის კოლექციიდან, ვინც უბრუნდება შოპენჰაუერთან დაკავშირებულ დებატებს, რომ ნიცშე რადიკალურად დაშორდა თავის დამრიგებელს). ზურა შიოლაშვილი გვახსენებს, რომ კიდევ ერთი გერმანელი ხატმებრძოლი ფილოსოფოსის ნაშრომს, „ჩემი სხეული არის ფენომენალური ფორმა, ჩემი ნების'კიდევ ერთი უგულებელყოფა“, შოპენჰაუერის მოწოდებით, რომ ქრისტიანებს შორის ქრისტიანობას არავითარი გავლენა აღარ გააჩნია და ის მკვდარია.

ზოგიერთი არგუმენტი აფორიზმის ხელოვნებაში თავისი ფარგლებით მიდის ძალიან შორს რაიმე რიტორიკული მტკიცებულების გარეშე. ეს არის ქრისტიანული თეოლოგიის მიმდევრული ადვოკატობა, საკმაოდ უცნაური მკითხველებისთვის დაჩვეული აკადემიური მნიშვნელობის სანაცვლოდ, მაგრამ თავისი დამოკიდებულებით უფრო ჭეშმარიტია ნიცშეს სულისკვეთებისთვის, მისი საწინააღმდეგო პერსპექტივებიდან გამომდინარე. სხვა შემთხვევებში, როგორც ნიცშე, ისე შიოლაშვილი მას უწოდებს „ჭკვიან იდიოტს“, რომელიც რიტორიკულად რჩება.

როგორც ნაწილი ფროიდის კრიტიკის შემთხვევაში, რომელიც განმანათლებლურად უფრო დახვეწილია, ვიდრე ეს რიტორიკული გამონათქვამი, უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს. მაგალითად, როდესაც შიოლაშვილი ამბობს:

„თუ ჩვენ დავუშვებთ ფროიდის იდეას – ვნების აღგზნებადობის მოჭარბებულ პოტენციას ყველა ხელოვანში, მაშინ ყველა გარყვნილ ადამიანს თავის ავხორცობაში უნდა დაერქვას ხელოვანი“.'შიოლაშვილის მიდგომაში პარალელურად ირეკლავს ნიცშეს ურთიერთგამომრიცხველობა – „ორი სახე სარკეში, ერთი, რომელიც პრეტენზირებს, იყოს ლამაზი, მეორე – მახინჯი, მაგრამ ფარული“. შიოლაშვილისთვის ნიცშეს დემონური ზეგავლენა ადამიანის ფსიქოლოგიაზე დევს არა მის ფილოსოფიურ არგუმენტებში, არამედ მხატვრულ მჭევრმეტყველებაში, ფონეტიკისა და ფონოლოგიის ფორმებში. მრავალმხრივად წარმატებულად გაწუწული, მთელი წიგნის ყოველი მხრიდან მრავალფეროვანი სახის აფორიზმებია წარმოჩენილი ხანდახან, როგორც ეფექტურად განხორციელებული სქემა. მაგალითად, მეჩვიდმეტე აფორიზმი:

„მწვერვალზე დგახარ, უფსკრულის ფსკერი შენს სულს იქაც ეხება – ეს არის სიცარიელე“.

„აფორიზმები საკვირველი გზით გვეხმარებიან, განვმარტოთ და წინა პლანზე წამოვწიოთ ნიცშესებური იდეა კვლევის ქვეშ – როგორც აზრის ძიება სამყაროს უაზრობაში და არა ძალაუფლებისკენ დევნა მასში“.

***მარტინ კოენი***

**http://www.the-philosopher.co.uk/reviews/nietzsche-debate.htm**

## ვინ ვინ არის

**„ახალი თაობა" გთავაზობთ ახალ რუბრიკას — „ვინ ვინ არის". ამ რუბრიკაში ჩვენ მოგაწვდით ცნობებს ქართველ პოლიტიკოსებზე, საჯარო მოხელეებზე და სხვა ადამიანებზე, რომელთაც ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **რამაზ ნიკოლაიშვილი** დაიბადა 1965 წლის 17 ივნისს თბილისში.

1983-1990 სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, ინჟინერ-მშენებელი);

1995-1997 თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფინანსები და კრედიტები, ეკონომისტი;

2000 – 2003 თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობა, იურისტი.



1994-2000 წლებში საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ოპერატიულ სამმართველოში მუშაობდა სხვადასხვა წამყვან თანამდებობაზე;

2000-2003 წლებში საგანგებო ლეგიონის სპეციალურ დავალებათა სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო;

2003-2004 წლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყო;

2004-2005 წლებში ფინანსური პოლიციის სტატისტიკური აღრიცხვისა და საინფორმაციო სამსახურის უფროსი იყო;

2005-2007 წლებში ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი იყო;

2007-2008 წლებში შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი იყო;

2008-2008 წლებში საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ლანჩხუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური) სახელმწიფო რწმუნებული, გუბერნატორი იყო;

2008-2008 წლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო;

2008 წელს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა;

2010 წელს დაინიშნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად.

დაჯილდოებულია:

საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმის 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით, 2009 წელს ტრანსპორტისა და საგზაო მშენებლობის დარგში მიღწეული წარმატებისთვის მიენიჭა ,,წლის ინჟინრის“ საპატიო წოდება;

2010 წლის 24 მაისის №418-ე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით;

2009 წლის 4 დეკემბრის №866-ე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

2007 წლის 17 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა ღირსების მედლით;

2005 წელს მიენიჭა სპეციალური წოდება პოლკოვნიკი;

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

2011 წელს შევსებული დეკლარაციის თანახმად, მინისტრის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი ბინა დიღმის მასივში. ბინის ფართი 115.0 კვ.მ.-ია.

არც მინისტრი და არც მისი ოჯახის წევრები არ ფლობენ ფასიან ქაღალდებს.

რამაზ ნიკოლაიშვილი და მისი ოჯახის წევრები არც სამეწარმეო საქმიანობაში არ მონაწილეობენ.

ნიკოლაიშვილს ქონებრივ დეკლარაციაში უწერია, რომ გააჩნია ნაღდი ფული, რომლის ოდენობაც აღემატება 4000.0 ლარს.

მინისტრს არ მიუღია საჩუქარი, რომლის ღირებულებაც აღემატება 400 ლარს.

სხვა მინისტრებისგან განსხვავებით, ოპოზიცია ნიკოლაიშვილს მაინცდამაინც არ მტრობს. სხვათა შორის, არც რამაზ ნიკოლაიშვილი ლანძლავს ოპოზიციას და მტრულად არც მედიის მიმართ არის განწყობილი.

## ვანო მერაბიშვილი ბიძინა ივანიშვილს ჯადოქრობაში ადანაშაულებს

### ივანიშვილს კოცონზე დაწვით მოიშორებენ?!

შალვა ჯოხაძე

„24 ოქტომბერს, ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული განცხადების საპასუხოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ 22 ოქტომბერს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვალერი ლევინს, საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას, აღმოაჩნდა უჩვეულო მინერალები და ბეჭდური მასალა. ლევინის განცხადებით, მოცემული მინერალები და ლიტერატურა ოკულტური დანიშნულების იყო და მომავლის განჭვრეტისათვის გამოიყენებოდა. აღნიშნული მინერალები გადაიგზავნა ექსპერტიზაზე. ჩატარებულმა ექსპერტიზამ ცხადყო, რომ მოცემული მინერალები ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს. ოკულტური მინერალები და ლიტერატურა ბიძინა ივანიშვილს დაუბრუნდა,“ – აცხადებენ ვანო მერაბიშვილის უწყებაში და შესაბამის ფოტომასალასაც ავრცელებენ. მოკლედ, ერეტიკოსების ხანა რომ იყოს, ალბათ, ივანიშვილს კოცონზე დაწვავდნენ, მაგრამ ახლა 21-ე საუკუნეა და ეს არ გამოუვათ. თუმცა, შს სამინისტროს მიერ გავრცელებული ეს ინფორმაცია აშკარად შავი პიარის ელემენტებს შეიცავს, ივანიშვილი ოკულტიზმში, ფაქტობრივად ჯადოქრობაშია დადანაშაულებული.

აი, ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოს რომელ განცხადებაზე მოახდინა ვანო მერაბიშვილის უწყებამ ასეთი რეაგირება: „ბიძინა ივანიშვილის მოსკოვის ოფისის წარმომადგენელი ვალერი ლევინი სამართალდამცველებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 22 ოქტომბერს დააკავეს და რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ 23 ოქტომბერს, გვიან ღამით გაათავისუფლეს. ლევინს საქართველოში ის დოკუმენტაცია ჩამოჰქონდა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლებმა რუსეთის საკონსულოსგან ოფიციალურად გამოითხოვეს.

ცნობა საგადასახადო და საცხოვრებელი ადგილიდან ივანიშვილის წარმომადგენლებს ბიზნესმენისთვის რუსეთის მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურისთვის სჭირდებოდათ. აღნიშნული პროცედურა უკვე ორ კვირაზე მეტია, მიმდინარეობს და დოკუმენტების წარდგენას მოითხოვს მაშინ, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა სულ რაღაც ერთ საათში შეუწყვიტა. ვალერი ლევინი საქართველოში სწორედ აღნიშნული დოკუმენტაციის საქართველოში დროულად ჩამოტანის მიზნით მიემგზავრებოდა. ამ დოკუმენტაციასთან ერთად ლევინს საქართველოში ჟურნალი ,,ქვების ენერგია“ მოჰქონდა. ჟურნალის რეალიზება რუსეთში, უკრაინასა და ყაზახეთში ხორციელდება და მისი საბაზრო ფასი ქართულ ვალუტაში დაახლოებით 10 ლარს შეადგენს. ყოველკვირეულ ჟურნალს თან მინერალური ქვები მოჰყვება. ამ ქვებს






ბიძინა ივანიშვილის 14 წლის ქალიშვილი გვანცა უკვე რამდენიმე წელია, აგროვებს და მის პირად კოლექციაში ათეულობით მსგავსი ქვა არის. როგორც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ვალერი ლევინის ადვოკატ შალვა თადუმაძეს განუცხადეს, მისი დაცვის ქვეშ მყოფის დაკავების მიზეზი სწორედ ის ქვები გახდა, რომელიც ყოველკვირეულ ჟურნალ ,,ქვების ენერგიას“ მოჰყვება, რადგან არსებობდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ ლევინს საქართველოში რადიოაქტიური ნივთიერებები შემოჰქონდა“.

ადვოკატმა შალვა თადუმაძემ აღნიშნა, რომ როდესაც გამომძიებელს შეხვდა და ვალერი ლევინის დაკავების მიზეზით დაინტერესდა, მართლაც ასეთი კურიოზული მიზეზის შესახებ მიიღო პასუხი.

,,მითხრეს, რომ ჰქონდათ ინფორმაცია, თითქოს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს მოსკოვიდან საქართველოში რადიოაქტიური ნივთიერება შემოჰქონდა. ვალერი ლევინს ჩხრეკისას კრისტალები, ფერადი მინერალები ამოუღეს, რომელიც ბატონი ბიძინას 14 წლის შვილისაა და ვალერი ლევინს ის სწორედ მისთვის მოჰქონდა. ექსპერტიზა ამ ქვებზე დაახლოებით ორ კვირაში იქნება“, – ასეთი ინფორმაცია ჰქონდა ადვოკატს, თუმცა, როგორც ხედავთ, ექსპერტიზა ძალიან სწრაფად ჩაატარეს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არანაირი ექსპერტიზა არ ჩატარებულა. შინაგან საქმეთა სამინისტროში რუსული კითხვა ალბათ იციან, წაიკითხეს ჟურნალი და მიხვდნენ, რომ ეს მართლაც გასართობი შინაარსის ბეჭდური მასალა იყო, კრისტალები კი – უწყინარი მინერალები.

## ბიძინა ივანიშვილის პირველი პრესკონფერენცია პირველ ნოემბერს გაიმართება

შალვა ჯოხაძე



თუკი ადრე ქართველი ჟურნალისტები ბიძინა ივანიშვილთან ინტერვიუზე ვერც იოცნებებდნენ, დღეს მითი მილიარდერის, როგორც რესპონდენტის ხელმიუწვდომლობის შესახებ უკვე იმსხვრევა. მართალია, პერსონალური ინტერვიუები ივანიშვილს უკვე მრავლად ჩამოართვეს, თუმცა ინტერესი პოლიტიკაში გადაბარგებული ბიზნესმენის შესახებ მაინც დიდია. მით უმეტეს, ინტერესს იწვევს ბიძინა ივანიშვილის პირდაპირ ეთერში ხილვა და მოსმენა. აკი, ბიძინა ივანიშვილის კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ თუკი პრესკონფერენციას გამართავდა, ის აუცილებლად ღია ეთერში გადაცემულიყო. რამდენიმედღიანმა მოლაპარაკებებმა შედეგი გამოიღო, ბიძინა ივანიშვილის პირველი სატელევიზიო პირდაპირი ეთერი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში პირველ ნოემბერს 16:00 საათზე გაიმართება.

ალსანიშნავია, რომ პრესკონფერენციის თარილთან და სხვა დეტალებთან დაკავშირებით ინფორმაცია გუშინ, დღის ბოლომდე ზუსტდებოდა. საბოლოოდ, ივანიშვილის პრესსამდივნოში განმარტეს, რომ პრესკონფერენციის პირდაპირ ეთერში გადაცემის შესახებ შეთანხმება საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორსა და ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოს ხელმძღვანელობას შორის უკვე შედგა. ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნომ მიიღო გარანტია, რომ ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციის ტრანსლირება პირდაპირი ეთერში 30-40 წუთის განმავლობაში უწყვეტად განხორციელდება.

ივანიშვილის პრესმდივანმა ირაკლი ტრიპოლსკიმ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობისგან ასევე მიიღო გარანტია, რომ ანალოგიური განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობის მხრიდანაც გავრცელდება. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაგეგმილი პრესკონფერენციის მისსავე ეთერში ანონსირება უნდა უზრუნველყოს.

ჩვენი ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნომ ჟურნალისტების აკრედიტების პროცესი უკვე დაიწყო. პრესსამდივნოს წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ ჟურნალისტებს (ელექტრონული, ბეჭდვითი) ბიზნესცენტრში უმასპინძლონ.

## შიდსით 52 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

აივ ინფექციით 52 წლის მამაკაცი გარდაიცვალა. მას დაგვიანებული მკურნალობის შედეგად ღვიძლის ციროზი განუვითარდა, რის გამოც ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს.

,,გარდაიცვალა კიდევ ერთი ავადმყოფი, შიდსით დაავადებული. ეს იყო საშუალო ასაკის მამაკაცი. გარდაცვალების უშუალო მიზეზი იყო ღვიძლის ციროზი და მისით გამოწვეული სისხლდენა“, – განაცხადა შიდსის ცენტრის გენერალურმა დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ.

ცნობისთვის: ოქტომბრის თვეში შიდსით გარდაცვალების ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა.

2010 წელს საქართველოში აივ ინფექციით 331 ადამიანი გარდაიცვალა, წელს კი დაღუპული 339 ადამიანია.

მედიანიუსი

## თურქეთის მიწისძვრას სომხეთის ატომური ელექტროსადგური არ დაუზიანებია

თურქეთის აღმოსავლეთ პროვინცია ვანში მომხდარი მიწისძვრის გამო სომხეთის ატომური ელექტროსადგური არ დაზიანებულა.

როგორც სომხური მედიასაშუალებები იუწყება, მეწამურის ატომური ელექტროსადგური მიწისძვრის ეპიცენტრიდან 160 კილომეტრში მდებარეობს, მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრე ატომური სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე 3 ბალს შეადგენდა. ელექტროსადგურის ხელმძღვანელის გაგიკ მარკოსიანის მტკიცებით, ამ სიმძლარვის მიწისქვეშა ბიძგები ზემოხსენებულ ობიექტს ვერ დააზიანებს.

მისი თქმით, ელექტროსადგურზე 11 სექტემბრიდან სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

მედიანიუსი

## ,,ვიკილიქსი“ მასალების გამოქვეყნებას აჩერებს

ინტერნეტ გვერდი ,,ვიკილიქსი“ მამხილებელი მასალების გამოქვეყნებას, ფულადი სახსრების არასაკმარისი რაოდენობის გამო აჩერებს. ამის შესახებ ,,ფრანს პრესი“ იუწყება.

შეგახსენებთ, რომ ინტერნეტ გვერდ ,,ვიკი-




ლიქსის“ გარშემო ხმაურიანი სკანდალი მას შემდეგ დაიწყო, რაც ინტერნეტ გვერდზე აშშ-ის დიპლომატიური სამსახურის კუთვნილი დოკუმეტაცია გამოქვეყნდა.

აღნიშნული დოკუმეტები, რომლებიც 2010 წლის 29 ნოემბერს გამოქვეყნდა, მსოფლიოს ლიდერების მისამართით უარყოფით გამოთქმებს შეიცავდა.

აქამდე ,,ვიკილიქსის“ მატერიალური საარსებო წყარო ნებაყოფლობითი შემოწირულობები იყო.

მედიანიუსი

# თბილისმა თურქეთს მიუსამძიმრა

ნათია ხურცილავა

საქართველოს ხელისუფლება თურქეთში მომხდარი მიწისძვრის გამო თურქეთის ხელისუფლებას დახმარებას სთავაზობს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ თურქულ მხარეს სამძიმარი გამოუცხადა მიწისძვრის შედეგად გარდაცვლილების გამო.

საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე საათში მიიღო გადაწყვეტილება და როგორც ცნობილია, სრულ მზადყოფნაში ჰყავს რამდენიმე სამაშველო ჯგუფი და თურქული მხარის თხოვნის შემთხვევაში ისინი სამაშველო ოპერაციაში მიიღებენ მონაწილეობას.

რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეების შესახებ ინფორმაციას, სტიქიის ზონაში იმყოფებიან თუ არა ისინი საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციით მათ დაღუპულების შესახებ არ აქვთ ინფორმაცია. თუმცა არსებობს ინფორმაცია საქართველოს ორი მოქალაქის შესახებ, რომლებიც სტიქიით დაზარალებულ ზონაში იმყოფებიან.

თურქეთის საქართველოს საკონსულოს ინფორმაციით, საქართველოს ორი მოქალაქე იმყოფება სახლის გარეშე, რადგან მათი საცხოვრებელი სახლი მიწისძვრამ დაანგრია.

– როდესაც შევიტყვეთ კატასტროფის შესახებ მზადყოფნაში გვყავს სამაშველო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე ქალაქ თბილისის მერიის საგანგებო დავალებათა სამსახურის წარმომადგენლებით. საკმაოდ მოცულობითი არის ჯგუფი. დაუყოვნებლივ ვაცნობეთ თურქულ მხარეს, რომ ეს ჯგუფი მზადყოფნაში იმყოფება. სრული აღჭურვილობით და საჭიროების შემთხვევაში ჩვენ მზად ვართ, რომ დაუყოვნებლივ გავაგზავნოთ ჩვენი სამაშველო ჯგუფი. საბედნიეროდ, დაღუპულთა შორის არ იმყოფებიან საქართველოს მოქალაქეები. თუმცა, ვიცით, რომ დაშავებულთა შორის რამდენიმე არის საქართველოს მოქალაქე. ჩვენი წარმომადგენლობა თურქეთში საგანგებო რეჟიმში მუშაობს. – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

კალანდაძემ აღნიშნა თურქეთში მომხდარი სტიქიის სიძლიერე. მისი თქმით, დამანგრეველი აღმოჩნდა მომხდარი მიწისძვრა.

– ძალიან ძლიერი მიწისძვრა იყო, სამწუხაროდ, ძალიან დიდია მსხვერპლი და ჩვენ გულწრფელად ვუსამძიმრებთ თურქ ხალხს. იმედს ვიტოვებთ, რომ მაქსიმალურად სწრაფად მოხდება დაშავებულთა დახმარება და დაკარგულების პოვნა და გადარჩენა. – განაცხადა კალანდაძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც თურქეთს უკავშირდება, თურქეთის მიერ ქართული ძეგლების საქართველოსთვის გადაცემის საკითხია.

კალანდაძე აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს და აღნიშნული საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

კალანდაძის განცხადებით, ქართულ მხარეს აქვს რამდენიმე პრინციპული წინადადება და საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ ეს გათვალისწინებული იქნება.

–თურქეთს აქვს თავისი წინადადება, რომელიც შესაბამის უწყებებს შორის უნდა იყოს განხილული. – განაცხადა კალანდაძემ.

მისივე თქმით, გასულ კვირას თურქეთში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ოფოციალურმა ვიზიტმა საკმაოდ კარგად ჩაიარა.

– ჩვენ ვიცით, რომ ეს საკითხი ძალიან აქტუალურია, როგორც საქართველოს საპატრიარქოსთვის, ასევე საქართველოს მოსახლეობისთვის. ყველა აქტიურად არის ჩართული, რომ საქართველოს ინტერესები მაქსიმალურად იყოს დაცული. – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ბრძანა, რომ თურქეთის ხელისუფლებისადმი მისი წერილი, რომელიც ქართული ტაძრების გადმოცემას ითვალისწინებს, განხილვის პროცესშია.

– როგორც ცნობილია, თურქეთის ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანება, რომ გადაეცეს იმ ერს თურქეთში მდებარე ტაძრები, რომლებიც მათ საკუთრებაშია. უკვე გადასცეს ბერძნებს, სომხებს, რუსეთს, თუმცა, ჩვენთვის ჯერ არ გადმოუციათ. მე გავუგზავნე წერილი თურქეთის პრემიერ-მინისტრს და ვითხოვდით, რომ ოშკი, ხახული და სხვა ტაძრები უნდა ყოფილიყო გადმოცემული საქართველოსთვის. გვიპასუხეს, რომ წერილი განხილვის პროცესშია, მაგრამ მე დავავალე ელჩს და კონსულს, რომ ამ პროცესს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ. – განაცხადა საქართველოს პატრიარქმა და იმედი გამოთქვა, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელზეც მინისტრის მოადგილემ ისაუბრა, ჯეიმს აპატურაის ვიზიტია.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით საქართველოს 27 ოქტომბერს ჯეიმს აპატურაი ეწვევა.

ნატოს გენერალური მდივნის ანდრეს ფოგ რასმუსენის თანაშემწე სამხრეთ კავკასიის საკითხებში საქართველოში მაღალი დონის შეხვედრებს გამართავს.

ჯეიმს აპატურაი შეხვედრას გამართავს უშიშროების საბჭოს მდივანთან გიგა ბოკერიასთან და პრემიერ-მინისტრთან ნიკა გილაურთან.

შეხვედრაზე, როგორც საგარეო საქნეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, განიხილება სხვადასხვა საკითხები. მათ შორის ის საკითხები, რომელზეც იქნება საქართველოს ნატოსთან უფრო მეტად დაახლოების პერსპექტივები დამოკიდებული.

რაც შეეხება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას, ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი დღეს გაიმართება.

კალანდაძის ინფორმაციით გასული მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა.

როგორც კალანდაძე აცხადებს, მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ რუსეთი ეწინააღმდეგება რუსეთ-საქართველოს საზღვრის ერთობლივ მონიტორინგს.

– ეს არის ჩვენი ძალიან პრინციპული მოთხოვნა, რომლის უგულებელყოფა ვერ მოხდება. როგორც კი რუსეთი მზად იქნება ამ წინადადებას დათანხმდეს, ჩვენ მზად ვართ, თანხმობა განვაცხადოთ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე. – განაცხადა კალანდაძემ.



კალანდაძის განმარტებით, სიმართლეს არ შეესაბამება გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხზე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან საქართველოზე ზეწოლა ხორციელდება.

– საერთაშორისო თანამეგობრობა ძალიან კარგად აცნობიერებს, რომ ეს არის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც დაცული უნდა იყოს და ამავდროულად საქართველოს ძალიან ლეგიტიმური მოთხოვნა. – განაცხადა კალანდაძემ.

კალანდაძემ კომენტარი ივანიშვილის საპატიო კონსულის პოლიტიკურ აქტივობასთან დაკავშირებით გააკეთა. თუმცა განაცხადა, რომ თავსებადობის საკითხს ქართული მხარე არ და ვერ განიხილავს.

კალანდაძის განცხადებით ამ საკითხს იმ ქვეყნის კანონმდებლობა არეგულირებს, რომლის წარმომადგენელიც ბიძინა ივანიშვილია.

– ეს არის მხედველობაში მისაღები იმ სახელმწიფოს მიერ, ვისი წარმომადგენელიც და საპატიო კონსულიც არის ესა თუ ის პირი. იმ ქვეყნის სამართლებრივ საფუძვლებს არ ვიცნობ. ეს არის საკითხი, რომელსაც ქართული მხარე არ და ვერ განიხილავს. – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ჟურნალისტებმს ბიძინა ივანიშვილის მოსკოვის ოფისის ხელმძღვანელის ვალერი ლევინის დაკავებასთან დაკავშირებითაც ჰკითხეს.

კალანდაძის ინფორმაციით საგარეო უწყებას ლევინის დაკავების ფაქტთან დაკავშირებით რაიმე ოფიციალური მიმართვა არ მიუღია. იმ შემთხვევაში თუ მიიღებს ამის შესახებ საქართველოს საგარეო უეყება შვეიცარულ მხარეს მიაწოდებს ინფორმაციას.

# ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა დროულია

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლაღიძესთან

***– თითქმის ერთი თვეა, რაც ივანიშვილი გამოჩნდა ქართულ პოლიტიკაში. ამ დრომდე მის მიერ გადადგმული ნაბიჯები მას პოლიტიკურად რამდენად მომგებიან მდგომარეობაში აყენებს?***

– ამ ადამიანის მიმართ საზოგადოებაში გარკვეული მოლოდინი ნამდვილად არსებობს. ფაქტია, რომ მას საკმაოდ დიდი რეიტინგი აქვს საქართველოს მოსახლეობაში და საერთოდ თუ განვიხილავთ იმ სიტუაციას, რაც დღეს ქართულ რეალობაში არსებობს, ოპოზიცია არის საკმაოდ სუსტი. მას საზოგადოებაში არანაირი ნდობის ფაქტორი და რეიტინგი არ გაჩნია და, აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა დროულია, მან უნდა დაიკავოს ოპოზიციის ის თავისუფალი ნიშა, რომელიც არსებობს. Aამ ადამიანმა გააკეთა განცხადებები, რომ ქვეყანაში უნდა მოხდეს ცვლილებები, რაც რეალურად შეცვლის არსებულ ვითარებას უკეთესობისკენ. თუმცა, ის ფაქტი, რომ ის ამ დრომდე არ გამოსულა ჟურნალისტების წინაშე და არ გაუცია მათი კითხვებისთვის პასუხი, ძალიან ცუდია, ვინაიდან მოსახლეობაში მის მიმართ არსებობს დიდი ინტერესი და საზოგადოება მისგან ელოდება ამომწურავ ინფორმაციას სამომავლო გეგმებზე. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ნაციონალური არხები მუშაობენ ხელისუფლებაზე, მე ვფიქრობ, დრო ივანიშვილის საწინააღმდეგოდ მუშაობს. საჭიროა რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება, ფუჭად არ უნდა გაიფლანგოს ის რეიტინგი, რომელიც დღეს ამ ადამიანს აქვს, სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, ვერ იქნეს ის შედეგი მიღწეული, რომელსაც საზოგადოება ელოდება ამ ადამიანისაგან. ივანიშვილის გამოჩენამ ხელისუფლება სრულ პანიკაში ჩააგდო. მათ ივანიშვილის სახით დაინახეს რეალური კონკურენტი, მათ შორის, ფინანსური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც. Aაქედან გამომდინარე, ივანიშვილის მხრიდან მკვეთრი და სწორად გათვლილი მოქმედებებია საჭირო.



***– რადიკალურ გადაწყვეტილებებში რას გულისხმობთ?***

– მე მიმაჩნია, რომ საჭიროა უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. მესმის, რომ მას შეუჩერეს მოქალაქეობა, მაგრამ ფაქტია, ეს ადამიანი ცდილობს, სამართლებრივად მოაგვაროს ეს პრობლემა და დაიმკვიდროს თავი ქართულ პოლიტიკაში. Yყველაზე სწორი იქნება, საქართველოში დაინიშნოს საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ, სამწუხაროდ, მსგავსი მოწოდებები ივანიშვილის მხრიდან არ ისმის. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მედიასაშუალებების დიდი ნაწილი ხელისუფლების კონტროლის ქვეშ არის, რაც დრო გავა, ხელისუფლება შეეცდება, ამ ადამიანს წაართვას მხარდამჭერები და მისი რეიტინგი დააგდოს. ამიტომაც ვამბობ, რომ საჭიროა ქმედითი ზომების მიღება. სააკაშვილი და მისი ხელისუფლება რომ გარკვეულწილად აგონიაშია ამ ადამიანის გამოჩენით, აქ ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ, თუ ივანიშვილმა არ გადადგა მკვეთრი ნაბიჯები, რეალური შედეგი ვერ იქნება მიღწეული.

***– თქვენ, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველმა, იქნებ შეაფასოთ „ქართუ ბანკზე“ განხორციელებული თავდასხმა. რამდენად ჯდება ეს კანონის ჩარჩოებში?***

– სუფთა სამართლებრივად ეს არის კრიმინალი. მე ვფიქრობ, რომ ეს იყო პოლიტიკური ანგარიშსწორება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებამ დაიწყო ივანიშვილის მხარდამჭერთა დევნა, ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ ეროვნული ბანკი შევიდა „ქართუ ბანკში“ შესამოწმებლად, ფაქტი სახეზეა, რომ ხელისუფლება საკმაოდ არის შეშფოთებული ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით. ფაქტია, ხელისუფლება მიზეზს ეძებს, რომ რაც შეიძლება მეტი პრობლემები შეუქმნას ამ ადამიანს. Aარ არის გამორიცხული, ხელისუფლების მხრიდან უფრო მწვავე ნაბიჯებიც იქნეს გადადგმული, ვინაი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# რისი ეშინია ივანიშვილს

ნინო მეტრეველი

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური ბრძოლის ისეთ ფორმაზე, როგორიც ქუჩის აქციებია, უარს ამბობს. საერთოდ არ უნდა ხსენება სიტყვებისა „ქუჩა“ და „რევოლუცია.“ არეულობისა და ერთმანეთის ხოცვისგან ჯვარი გვწერია, მაგრამ ბრძოლის დაწყებისთანავე ხელისუფლება დაამშვიდო, რაც არ უნდა მოხდეს, ხალხს საპროტესტო აქციებისკენ არ მოვუწოდებ, პირიქით, ყველაფერს გავაკეთებ, რომ შიდა ტემპერატურა დავწიოო, სულ მცირე, პოლიტიკური შეცდომაა.

ქუჩის პროტესტი, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღი, ჩვენი გამოგონილი არ არის და მას, ჩვენგან განსხვავებით, მთელი ცივილიზებული სამყარო წარმატებით იყენებს. ეს სულაც არ ნიშნავს მაინცდამაინც „კადაფიზაციას“, როგორც ამას ბატონი ბიძინა გულისხმობს.

„ძალიან მეშინია, ქუჩის აქციები არ დაიწყოს, რაც მათ აწყობთ.' როგორმე არჩევნებამდე უნდა მივიდეთ“. 2 ფვ,ჯ,ს ივანიშვილი. ქუჩის აქციების, ოღონდ სწორად დაგეგმილის, ხელისუფლებას უნდა ეშინოდეს და არა ოპოზიციაში Hშემოსულ მაგნატს.

საპროტესტო აქციებმა ჩვენი დოყლაპია ოპოზიციონერების დიდი მცდელობით დაკარგა ფასი და ფუნქცია, დემოკრატიული ბრძოლის ეს ფორმა გარიგებებისა და ფულის საჭრელ მექანიზმად რომ აქციეს მაშინ, თორემ აქციები არ ედო საფუძვლად ვარდების რევოლუციას, რომელიც მთელმა მსოფლიომ დემოკრატიულ რევოლუციად აღიარა? 2007 წლის შვიდი ნოემბრის ამბებმა არ აიძულა მიხეილ სააკაშვილი, გადამდგარიყო? დენთი არ ჰქონდა შენთებული და პანიკაში არ იყვნენ ნაციონალები 2009 წელს, ე.წ. საკნების ქალაქი რომ გაიშალა რუსთაველზე, სანამ ოპოზიციის ლიდერებთან არ მოაკვარახჭინეს საქმე? თუ ახლახან, მაისში არ იყვნენ შეფუცხუნებულები?

თუ ხალხის ქუჩაში გამოსვლით საბოლოოდ მაინც ხელისუფლება სარგებლობდა, ეს ქუჩის პროტესტის კი არა, მისი ორგანიზატორების უთავბოლობის ბრალი იყო. თუმცა, ვერც იმას იტყვი, ამ გარჯამ უქმად ჩაიარაო. ყოველი ასეთი გამოსვლა, მით უმეტეს, თუ ის დარბევითა და ძალადობით სრულდებოდა, საერთაშორისო არენაზე ვარდოსანთა ძლიერ ციხესიმაგრეს თითო აგურს მაინც აცლიდა.

რას გვთავაზობს პოლიტიკური ბრძოლის იარაღად ივანიშვილი?

„მე ვცდილობ, აქ კადაფიზაცია არ იყოს. ჩემი მთავარი მიზანია, ესენი როგორმე შევაჩეროთ, კანონიერების ფარგლებში დავაბრუნოთ“. კეთილი და პატიოსანი. კადაფიზაცია და თოფით სირბილი არც არავის უნდა. სხვა საკითხია, როგორ აპირებს „ამათ შეჩერებასა და კანონიერების ფარგლებში დაბრუნებას?“ მორალის კითხვით თუ რჩევა-დარიგებებით? როცა მათი პირადი და გავლენიანი მრჩეველი იყო და სააკაშვილი და მერაბიშვილი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მისგან კონსულტაციების მისაღებად და, როგორც თვითონ ამბობს, უჯერებდნენ კიდეც, მაშინ ვერ შეაჩერა და ახლა როგორ დააბრუნებს ველზე გაჭრილ ნაცხელისუფლებას კანონიერების ფარგლებში?

უფრო საინტერესო სტრატეგია: „ყველაფერს გავაკეთებ, რომ შიდა ტემპერატურა დავწიო, რათა არ მოხდეს დაპირისპირება“. აქ უფრო დიდი პოლიტიკური გაუგებრობაა. ტემპერატურის დაწევას ხელისუფლება უნდა ცდილობდეს და ცდილობს კიდეც და არა მეორე პოლუსზე არსებული ერთობის ლიდერი, თან საეჭვოა, დღეს ისე დუღდეს ყველაფერი, რომ რაიმე დაპირისპირების შიშით ცეცხლის ჩაქრობის საჭიროება იყოს. პირიქით, ისეა ყველა და Yყველაფერი საყვარლად მიძინებული, ოპოზიციის ვერც ერთმა ნაწილმა, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ერთი გრადუსითაც ვერ ასწია ტემპერატურა. ამდენად, ამ მიმართულებით ოფლის დაღვრა საჭირო არ არის. პირიქით, ოპოზიციონერი ბიძინა ივანიშვილი მის აწევაზე უნდა მუშაობდეს.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ვარაუდობს, რომ ბიძინა ივანიშვილმა ეს განცხადება დასავლეთის გულის მოსაგებად გააკეთა, იმ გათვლით, რომ ამერიკას მისთვის სტრატეგიულ რეგიონებში არეულობისა და დესტაბილიზაციის ჭირივით ეშინია და მზად არის, დაუჭიროს მხარი ყველას, ვინც ძალადობაზე არ წავა და ივანიშვილმა, გარკვეულწილად, მიზანსაც მიაღწია. მეორე დღესვე ივანიშვილის სასახლის ჭიშკართან ელჩების რიგი დადგა, თუმცა, ჯონ ბასმა კი თქვა მერე, ჩვენი მისვლა მასთან სახლში არ ნიშნავს ივანიშვილისადმი მხარდაჭერას, უბრალოდ, ახალი ხილია და ამით არის საინტერესოო, მაგრამ, იქვე დასძინა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, არჩევნების შემდეგი ციკლი დემოკრატიული და ლეგიტიმური იყოსო, ანუ ამ საკითხში ივანიშვილი და ბასი განცხადებებში ერთმანეთს დაემთხვნენ. რამდენად დაიჯერეს დიპლომატებმა პოლიტიკაში ახლად ფეხშემოდგმული მილიარდერის გულწრფელობისა და რამდენად გაამართლებს საპროტესტო აქციების შიშის სტრატეგია, ამას დრო გვიჩვენებს.

„რამდენჯერმე ვნახეთ, რომ ხელისუფლება გაცილებით შეშინებული იყო აქციების დროს და ბევრად მძლავრი პროპაგანდისტული მანქანა ჩაერთო, ვიდრე მაშინ, როცა მას საარჩევნო რეჟიმში უპირისპირდებოდნენ. ამიტომ, არ ვიცი, რამდენად სწორია, თავიდანვე დაამშვიდო ხელისუფლება, ამ მძიმე არტილერიას არ გამოვიყენებო“, – ამბობს რამაზ საყვარელიძე.

# ფრიდონ სულაბერიძეს გამოფენა მიუძღვნეს

ეკა ირემაშვილი

ქართული ცეკვის დიდოსტატი ფრიდონ სულაბერიძე იუბილარია – მას 70 წელი შეუსრულდა. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით, საუკუნის მოცეკვავეს გამოფენა მიუძღვნეს. ექსპოზიციის ავტორი მისი მეგობარი და კოლეგა თენგიზ უთმელიძეა.

ფრიდონ სულაბერიძეს 70 წელი 24 ოქტომბერს შეუსრულდა. იგი ქორეოგრაფიას ბავშვობიდან დაეუფლა. წლების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო აკადემიურ ცეკვის ანსამბლში მოცეკვავე მსახიობად მუშაობდა. მან საუკეთესო წრთობა მიიღო ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით. იგი დღემდე ითვლება საქართველოში ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოცეკვავედ. დაუვიწყარია მის მიერ ვირტუოზულად შესრულებული ცეკვა „ქართული", რომელსაც დუეტში იამზე დოლაბერიძესთან ერთად ასრულებდა განსაკუთრებული პროფესიონალიზმით, არტისტიზმითა და პლასტიციზმით. მაყურებელი დღემდე აღტაცებაში მოჰყავს „ფრიდონისეულ კინტაურს" გასაოცარი კოლორიტულობითა და შესრულების გამორჩეული მანერით.

იუბილარმა ხელოვანმა ანსამბლთან ერთად მოიარა 60-ზე მეტი ქვეყანა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. წლების მანძილზე ბატონი ფრიდონი ფილარმონიის მსახიობ-მოცეკვავე იყო. მიღებული აქვს ცეკვა „ქართულის" საუკეთესო შესრულებისათვის ოქროს მედლები და დიპლომები. გამორჩეული მოცეკვავე საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატია. უკვე 35 წელია მუშაობს საქართველოს სახელმწიფო აკადემიურ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „რუსთავში" მთავარ ქორეოგრაფად.

25 მარტს ბატონ ფრიდონს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს. ფრიდონ სულაბერიძის ვარსკვლავი იყო პირველი ხელოვნების მოღვაწისთვის გახსნილი ვარსვლავი, რომელიც განახლებული, საერთაშორისო სტანდარტების მქონე დიზაინისაა. ღონისძიებასთან დაკავშირებით, „რუსთავმა" გრანდიოზული კონცერტი გამართა, სადაც წარმოდგენილი იყო ფრიდონ სულაბერიძის შემოქმედების რეზიუმე – ფრიდონი, როგორც მოცეკვავე და როგორც ქორეორგაფი. საღამოზე რამდენიმე ცეკვა, მათ შორის ცეკვა „ქართული" თავად ფრიდონ სულაბერიძემ შეასრულა.

„ქართული გენია როკვით განფენილი" – ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა. „სუხიშვილების" ანსამბლის ყოფილი წამყვანი სოლისტის, საქართველოს სახალხო არტისტის, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის თენგიზ უთმელიძის პერსონალური ფოტოგამოფენა ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ლეგენდარული ქართული ცეკვის აკადემიური ანსამბლის გასული საუკუნის 60-70-იანი წლების უნიკალურ შემოქმედებით მატიანეს ასახავს.

ფოტოებზე ასახულია ანსამბლის ვირტუოზ მოცეკვავე-სოლისტთა უზადო საშემსრულებლო ოსტატობა, პლასტიკა და სილამაზე ქართული ცეკვისა, მოცეკვავეებისა, რომლებმაც ქართული ცეკვის განუმეორებელი ხიბლითა და თვითმყოფადობით მოაჯადოვეს მთელი პლანეტა, დაიპყრეს მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო თეატრების სცენები.

ფოტომატიანე ასევე ასახავს ანსამბლის წევრთა შეხვედრებს მსოფლიოს გამორჩენილ ადამიანებთან და რომანტიკულ საგასტროლო ცხოვრებას. თენგიზ უთმელიძის მიერ წლების მანძილზე შექმნილი ფოტომატიანე აცოცხლებს სახელგანთქმული ანსამბლის იმ ყველაზე წარმატებულ პერიოდს, რომელსაც თვით ქართული ცეკვის სწორუპოვარმა დედოფალმა ნინო რამიშვილმა ანსამბლის „ოქროს ხანა" უწოდა.

თენგიზ უთმელიძის დღევანდელი პერსონალური ფოტოექსპოზიცია, 2000 წლიდან მოყოლებული, რიგით 25-ეა. იგი სხვადასხვა წლებში დიდი წარმატებით გამოიფინა თბილისში და სხვა ქალაქებში დევიზით – „ნინო რამიშვილი – 90", „რომანტიკული ფოტომატიანე", „როკვით განფენილი მადლი", „ილიკო სუხიშვილი – 100", „ქართული როკვის პოეზია". ამჯერად კი გამოფენა ფრიდონ სულაბერიძის იუბილეს მიუძღვნა.

თენგიზ უთმელიძის მდიდარი ფოტოარქივიდან ამჟამინდელ გამოფენაზე წარმოდგენილია 150-მდე ფოტონამუშევარი.

უჩა დვალიშვილი, ფოლკლორის ცენტრის წარმომადგენელი:

– ბატონი ფრიდონი ერთ-ერთი გამორჩეული მოცეკვავეა. საქვეყნოდ ცნობილია მისი ცეკვა ქართული, ე.წ. გასმა და „ფრიდონისეული კინტაური", რომელსაც შეუძლებელია ემოციების და აღფრთოვანების გარეშე უყურო. უკვე წლებია, ფრიდონი ანსამბლ „რუსთავის" მთავარი ქორეოგრაფია. მან ამ დარგშიც უმაღლეს შეფასებას იმსახურებს – აქვს საკუთარი ხელწერა, განსხვავებული საცეკვაო მანერა, მდიდარი ფანტაზია, იშვიათი გემოვნება. მისი დადგმული ცეკვები გამოირჩევა კომპოზიციის ორიგინალური გადაწყვეტითა და შესრულების მაღალი კულტურით. ფრიდონ სულაბერიძე იბრძვის ქართული ხალხური ცეკვის უძველესი ელემენტების აღდგენისა და კუთხური კოლორიტის შენარჩუნებისათვის. იგი ბევრს მუშაობს საშემსრულებლო სტილის სრულყოფისა და მოცეკვავეთა პროფესიული დონის ამაღლებისათვის. მისი ხელმძღვანელობით მოცეკვავეები ეუფლებიან ხალხური ცეკვის კუთხურ თავისებურებას.

ფრიდონ სულაბერიძის თავდაუზოგავი შრომის შედეგად, „რუსთავი" საფუძვლიანად დაეუფლა საქართველოს ცალკეული კუთხეების საცეკვაო ფოლკლორის მდიდარ მემკვიდრეობას, მის ჟანრულ ნაირსახეობას და იგი შესრულების უმაღლეს დონეზე აიყვანა, ამასთანავე შეიძინა აკადემიური ანსამბლის საუკეთესო თვისებები.

ფრიდონ სულაბერიძის დადგმული ცეკვები თავისივე კუთხის სიმღერებითა და ხალხური ინსტრუმენტების თანხლებით სრულდება. იგი ოსტატურად ახერხებს ცეკვების, სიმღერებისა და ხალხური საკრავების შერწყმას, რაც უფრო მეტად აძლიერებს ამ ცეკვის კუთხურ კოლორიტს, სწორედ ეს თვისება განასხვავებს „რუსთავს" სხვა ანსამბლებისგან.

***– რით არის გამორჩეული ეს ფოტოები?***

– ეს გამოფენა არის მატიანე ქართული ქორეოგრაფიის ისტორიისა. მასში შემონახულია 60-70-იანი წლების აკადემიური ანსამბლის „სუხიშვილების" შემოქმედებითი მოღვაწეობა. ეს ექსპოზიცია არა მარტო უფროსი თაობის დამთვალიერებლისთვის, არამედ ახალგაზრდებისთვისაც სინტერესოა. ბატონ თენგიზს ანსამბლის წევრების გარდა, მსოფლიოს ცნობილი ვარსკვლდავებიც ჰყავს გადაღებული. შევუერთდები ბატონი თენგიზის მილოცვას და ბატონ ფრიდონს მეც მივულოცავ 70 წლის იუბილეს. დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ.

**ფრიდონ სულაბერიძე, მოცეკვავე:**

– ჩემთვის ეს აგმოფენა დიდი სიურპრიზია. 70 წლის შევსრულდი და მეგობარმა გადაწყვიტა, ასეთი საჩუქარი გამიკეთოს. ამ ფოტოებზე შემონახულია ქართული ცეკვის ისტორია. ამ კადრებით დამთვალიერებლი მიხვდება, როგორები ვიყვით მაშინ, როგორები იყვნენ ბატონი ილიკო სუხიშვილი და ქალბატონი ნინო რამიშვილი. ეს ფოტოები წარსულში და ბედნიერ დროში მაბრუნებს. დიდი მადლობა თენგიზს, ასეთი საჩუქრისათვის.

**თენგიზ უთმელიძე, გამოფენის ავტორი:**

– ეს ფოტოგამოფენა ეძღვნება ქართული ცეკვების ყველა დროის საუკეთესო შემსრულებელს, საუკუნის ხელოვანს – ფრიდონ სულაბერიძეს და მისი დაბადებიდან 70 წლისთავს. თითქმის ნახევარი საუკუნეა ერთად მოვდივართ და მინდოდა ორიგინალური საჩუქარი გამეკეთებინა მისთვის და აი, ეს მოვიფიქრე – გამოფენა მივუძღვენი.

***– გიყვართ ასეთი სიურპრიზები?***

– რა თქმა უნდა. ნინო რამიშვილსაც მივუძღვენი გამოფენა საიუბილეოდ, ილიკო სუხიშვილსაც. გამოფენებს სხვადასხვა სივრცეებში ვაწყობ – ქარვასლაში, მუზაში. ახლა ფოლკლორის ცენტრის საგამოფენო სივრცე შევარჩიე. მიყვარს ასეთი საჩუქრები.

***– ფოტოები თავად შეარჩიეთ?***

– რა თქმა უნდა, ყველა ფოტო ჩემი შერჩეულია. ეს მხოლოდ ნაწილია იმ ფოტოარქივისა, რომელიც მაქვს. ის კი არადა, თანმიმდევრობასაც თავად ვარჩევ.

***– რამდენი ფოტო გაქვთ?***

– თავისუფლად შემიძლია ხუთი გამოფენა გავაკეთო.

***– რამდენ ხანს გაგრძელდება გამოფენა?***

– ეს ფოტოები საგამოფენო სივრცეში ალბათ თვის ბოლომდე დარჩება.

# მიხაილ ტარივერდიევის ხსოვნის საღამოს გრიბოედოვის თეატრი უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

25 ოქტომბერს თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის



დიდ სცენაზე კომპოზიტორ მიხაელ ტარივერდიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი მუსიკალური საღამო გაიმართება. საღამო კომპოზიტორის დაბადებიდან 80 წლისთავს ეძღვნება. მუსიკალური ღონისძიების ავტორი მომღერალი ირმა სოხაძე და კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი არიან.

კონცერტში, რომელიც ცნობილ თბილისელ ხელოვანს ეძღვნება, მონაწილეობას ქართული ესტრადის მომღერლები მიიღებენ. მიხეილ ტარივერდიევის სიმღერებს შეასრულებენ მერაბ სეფაშვილი, ნუგზარ კვაშალი, ვერიკო ტურაშვილი, ნინი შერმადინი, ზურაბ დოიჯაშვილი, ლაშა რამიშვილი და გრიბოედოვის თეატრის მსახიობები. საღამოზე შესრულდება, როგორც პოპულარული და ყველასათვის ცნობილი სიმღერები, ასევე ნაკლებად ცნობილი ინსტრუმენტული და ვოკალური ნაწარმოებები. პროექტის ავტორი საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი ,,რუსული კლუბია".

კომპოზიტორი მიხაელ ტარივერდიევი 1931 წელს დაიბადა თბილისში. მას დაწერილი აქვს მუსიკა 132 ფილმისათვის, შექმნილი აქვს ოთხი ბალეტი, ოთხი ოპერა და ასამდე რომანსი. მათ შორის ისეთი პოპულარული ფილმებისთვის, როგორებიცაა ,,გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" და ,,ბედის ირონია". მიღებული აქვს უამრავი პრიზი. საბჭოთა კავშირის პრიზებისა და პრემიების გარდა, ქართველ კომპოზიტორს ამერიკული მუსიკალური აკადემიის პრიზიც მიანიჭეს. რუსული კინოფესტივალი „კინოტავრის" ერთ-ერთი პრიზი „საუკეთესო მუსიკა" სწორედ მიხეილ ტარივერდიევის სახელს ატარებს.

მიხეილ ტარივერდიევისადმი მიძღვნილი ღონისძიება პირველად 4 წლის წინ მოეწყო და მისი აღდგენა წელს გრიბოედოვის თეატრში გადაწყდა. მიხეილ ტარივერდიევს პოსტ საბჭოთა სივრცის ენიო მორიკონეს უწოდებდნენ. მისი შემოქმედება სავსეა უთბილესი, უსაყვარლესი და რაც მთავარია, ძალიან ქართული მარცვლით, რაც თითქმის მის ყველა მელოდიაში ისმის.

მიხეილ ტარივერდიევი თბილისის ერთ-ერთ კოლორიტულ უბანში, ვორონცოვზე გაიზარდა. მოგვიანებით რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად და სიცოცხლის ბოლომდე იქ მოღვაწეობდა. იგი 1996 წელს სოჭში გარდაიცვალა. მომღერალმა ირმა სოხაძემ და კომპოზიტორმა თენგიზ ჯაიანმა ამ კომპოზიტორის შემოქმედების ქართველი საზოგადოებისთვის წარდგენა ხელოვანის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით გადაწყვიტეს.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იყიდება თორმეტი კალიბრის ორლულიანი „იჟ-58მ" მარკის სანადირო თოფი და ავტომობილი „ნივა" კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-932-732 ირაკლი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ძვლებში მეტასტაზების მკურნალობა სწრაფად და შედეგიანად. სისხლის დაცვა და აღდენა ქიმიო და რადიოთერაპიისას. ტელ: 295-23-98.

# საოცარი ლევანტე, მანჩესტერული დერბი და პრინს ბოატენგი

გასულ უიქენდზე ევროპაში მორიგი საფეხბურთო ტურები გაიმართა და იმდენი საინტერესო მოვლენა დაფიქსირდა, რომ ხანდახან სეზონში არ ხდება. ჩვენ ამათგან ყველაზე სენსაციურები და საინტერესოები შევარჩიეთ.

დავიწყოთ ესპანეთით, სადაც „ბარსელონასა" და „რეალის" ჰეგემონიის დამხობას ცდილობს მოკრძალებული „ლევანტე", რომელიც „ელმადრიგალზე" „ვილიარეალს" სტუმრობდა. ვალენსიური დერბის პირველ ტაიმში 31 წლის ხუანლუმ დუბლი შეასრულა დიეგო ლოპესის კარში და „ლევანტე" 2:0 დააწინაურა. მეორე ნახევარში არუნა კონემ კიდევ ერთი გაიტანა და სტუმრებმა სულაც დიდი ანგარიშით იმარჯვეს – 3:0.

ჩემპიონატის წინ გავარდნის უპირველეს კანდიდატად შერაცხული „ლევანტე", რომელსაც აქამდე ყველასთვის უცნობი მწვრთნელი ხუან იგნასიო მარტინესი თავკაცობს, ისტორიაში პირველად გადავიდა პირველ ადგილზე.

რაც შეეხება ფავორიტებს: „ბარსელონამ", დიდი უპირატესობის მიუხედავად, შინ ვერ მოუგო „სევილიას" – 0:0. ამასთან, მატჩის ანტიგმირად ლეო მესი იქცა, რომელმაც ბოლო წუთზე ანდალუზიელთა კარში პენალტის გატანა ვერ მოახერხა.

სამაგიეროდ, გაილაღეს „რეალმა" და კრიშტიანუ რონალდუმ. მადრიდელებმა სტუმრად თავიანთი ყოფილი მწვრთნელის, მანუელ პელეგრინის „მალაგა" არ დაინდეს და სტუმრად 4:0 გაანადგურეს. რონალდუმ კი თავის აქტივს 3 გოლი შემატა და მესის დაეწია. თუ ბომბარდირთა დავაში რონალდუ-მესის დუეტი თანაბრად არის, სატურნირო ცხრილში „რეალი" ქულითა და ერთი ადგილით უსწრებს მესამეადგილოსან „ბარსას".

ინგლისის პრემიერლიგის ლიდერმა „მანჩესტერ სიტიმ" „ოლდ ტრაფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედს" შავი დღე აყარა და 6:1 გაანადგურა!

პირველი გოლი მასპინძლებს ისტლენდელთა თავდამსხმელმა მარიო ბალოტელიმ გაუტანა. ეს ის ბალოტელია, რომელსაც თამაშის დილას მთელი ინგლისური პრესა დასცინოდა, ფეიერვერკის შეეშინდაო. ბალოტელის კი შიშის არაფერი ეტყობოდა და მალე მეორედ აიძულა დევიდ დე ხეა, ბურთი საკუთარი კარიდან გამოეტანა. თუმცა, გადამწყვეტი დარტყმა „იუნაიტედს" შესაძლოა 47-ე წუთზე ჯონათან ევანსის გაძევებამ მიაყენა, რის მერეც სერ ალექსის შეგირდები მოედანზე უმცირესობაში დარჩნენ.

ევანსის გაძევებაც ბალოტელის დამსახურებაა – სწორედ იტალიელმა მოიპოვა ის ჯარიმა, რომლის გამოც მსაჯმა მასპინძლების მცველს პირდაპირ წითელი ბარათი აჩვენა. ორი გოლი გაიტანა მოედანზე მოგვიანებით შესულმა ედინ ჯეკომაც, თითოჯერ კი თავი სერხიო აგუეროშ და დავიდ სილვამ გამოიჩინეს.

„სიტის" გამარჯვებამ რობერტო მანჩინის ბიჭები ცხრილში „იუნაიტედზე" 5 ქულით წინ დააყენა. გარდა ამისა, „ქალაქელებს" „წითელი ეშმაკებისთვის" მოედანზე 1974 წლის შემდეგ არ ჰქონდათ მოგებული, ამასთან, უნდა დავძინოთ, რომ „იუნაიტედმა" 2010 წლის აპრილის შემდეგ „ოლდ ტრაფორდზე" პირველად წააგო.

– ეს იყო ისტორიაში ჩვენი ყველაზე ცუდი დამარცხება. პირადად მე ასეთი ანგარიშით არასდროს წამიგია, ფეხბურთელობის დროსაც კი. რაც დღეს მოხდა, ჩემთვის ნამდვილი გამოწვევაა. ვერც კი ვიჯერებ, რომ 6:1 წავაგეთ. რასაკვირველია, პირველმა გოლმა ჩვენზე ძალიან იმოქმედა, მაგრამ 1:0-ის გამოსწორება კიდევ შეიძლება. აი, ფეხბურთელის გაძევებამ კი მოგვკლა, – თქვა მატჩის შემდეგ „იუნაიტედის" მორალურად განადგურებულმა თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა.

ამასობაში „სიტი" ცხრილში გაიქცა, „მანჩესტერის" გადასწრება კი „ჩელსისაც" შეეძლო, მაგრამ მოულოდნელად 0:1 წააგო „ქუინზ პარკ რეინჯერსთან" და მესამე ადგილზე დარჩა.

იტალიაში კი, ქალაქ ლეჩეში, „სტადიოვიადელმარეზე" მოვლენები ისე განვითარდა, რომ ნამდვილი თრილერი დატრიალდა.

„ლეჩემ" „მილანთან" პირველი ტაიმი ბრწყინვალედ ჩაატარა და მრისხანე მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანა. მასპინძლები მაღალ ტემპში თამაშობდნენ და მეტოქის კართან მომენტს მომენტზე ქმნიდნენ, რამაც მილანელთა დაცვაში დისონანსი შეიტანა. მასპინძელთა პირველი გოლისას დაცვის ცენტრი ჩავარდა, მეორედ კრისტიან აბიატიმ დაუშვა შეცდომა, როდესაც ისეთი პენალტი აიკიდა, რისი აუცილებლობაც არ იყო საჭირო, მესამე გოლი კი ლუკა ანტონინის ბავშვურ შეცდომას მოჰყვა, რომელმაც მეტოქის შემტევი აბიატის პირისპირ ისე შეჰყარა, თითქოს თავისიანი ყოფილიყო.

მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში განვითარდა – მასიმილიანო ალეგრიმ შესვენე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# დავით სირაძე: „ნალჩიკში ყველაფერი მაკმაყოფილებს"

საქართველოს ნაკრებისა და ნალჩიკის „სპარტაკის" თავდამსხმელს დავით სირაძეს 30-ე დაბადების დღე ჰქონდა. ამ იუბილესთან დაკავშირებით ნალჩიკური კლუბის ვებგვერდმა ჩვენებურთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ის თავის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე საუბრობს.

***– გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებას როგორც საფეხბურთო მოედანზე, ისე მის მიღმა. გვიამბეთ, როგორ მოხვედით ფეხბურთში.***

– მამაჩემი ფეხბურთელი იყო და, როდესაც მოთამაშის კარიერა დაასრულა, მწვრთნელობას მიჰყო ხელი. მისი წყალობით სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში დავიწყე. დავდიოდი თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში, რომელმაც არაერთი კარგი ფეხბურთელი აღზარდა. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის „დინამოს" ჭაბუკთა გუნდში აღმოვჩნდი, ორი წლის შემდეგ კი თურქულ კლუბ „ერზურუმსფორში" წავედი, რომლის ახალგაზრდულ გუნდში ასევე 2 წელი გავატარე. 2001 წელს შინ, თბილისში დავბრუნდი, ოღონდ ამჯერად რკინიგზელთა გუნდში – „ლოკომოტივში" ჩავირიცხე, სადაც დავიწყე კიდეც ზრდასრულ ასაკში სპორტული კარიერა. „ლოკომოტივში" 2003 წლამდე ვთამაშობდი, მომდევნო წელს კი ბერლინის „უნიონში" მიმიწვიეს. გერმანიაში ოთხი წელი გავატარე, რომელიც ჩემთვის ძალიან სასარგებლო იყო. 2008 წელს ნალჩიკიდან წინადადება მივიღე. გერმანიაში მყოფი რუსულ პრემიერლიგას კარგად არ ვიცნობდი, თუმცა, იმდენი კი ვიცოდი, რომ მაღალი დონის ჩემპიონატი იყო. საბოლოოდ, ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქიდან მიღებულ წინადადებას დავთანხმდი და აქ გატარებული ოთხი წლის განმავლობაში ეს არც არასდროს მინანია.



***– ნალჩიკში თავს როგორ გრძნობთ?***

– აქ თავს ისევე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. ნალჩიკი მწვანეში ჩაფლული, ლამაზი ქალაქია და სიამოვნებით ვმუშაობ. გულშემატკივრები მხარს გვიჭერენ, რაც საკუთარი თავის რწმენას გვმატებს.

***– უკვე ოთხი წელია „სპარტაკში" ხართ. როგორია დღევანდელი გუნდი, კოლექტივში როგორი სიტუაციაა?***

– ამ სეზონში ნალჩიკის „სპარტაკში" საკმაო ცვლილებები მოხდა, მათ შორის, სამწვრთნელო შტაბში. ფაქტობრივად, ახალი გუნდია და შეთამაშების მხრივ გარკვეული პრობლემები არსებობს. ვფიქრობ, ამ სეზონში ნაჩვენებ შედეგებზე უარყოფითად უიღბლობამაც იმოქმედა. რამდენიმე თანაბარ თამაშში გავუშვით ან ჩვენი მომენტები ვერ გამოვიყენეთ და ამიტომაც წავაგეთ.

***– ცოტა ხნის წინ პრესით გავრცელდა ცნობა, თითქოს „სპარტაკიდან" წასვლა გსურთ.***

– ვერ გეტყვით, საიდან მოიტანეს ეს ინფორმაცია ჟურნალისტებმა, თუმცა სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერება, მით უმეტეს, რომ ეს პუბლიკაცია მას შემდეგ გაჩნდა, რაც კლუბის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტი გავახანგრძლივე. ნალჩიკში ყველაფერი მაკმაყოფილებს. ახალი კონტრაქტი ორ წელზეა გათვლილი და იმედი მაქვს, ამ პერიოდს აქ გავატარებ. ამჟამად ჩვენი გუნდის სატურნირო მდგომარეობა არასახარბიელოა, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რათა ნალჩიკის „სპარტაკმა" ვითარება გამოასწოროს და პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნოს.

# საქართველო ძირითადში პენალტებით გავიდა

**საქართველო – მოლდოვა 2:2 (6:5პ)**

**0:1 ბაეშიუ (27), 1:1 სებისკვერაძე (27), 2:1 მაისაია (30), 2:2 ტაკოტი (36)**

**საქართველო:** ჯამბურია, თოთლაძე, კობაიძე, ნიშნიანიძე, ჭანუყვაძე, ტიკურიშვილი, მაისაია, ბობოხიძე, სიგუნავა, სებისკვერაძე, კეფაშვილი

**მოლდოვა:** ნიაგუ, მუნტეანუ, ტაკოტი, ბაეშიუ, ლაშკუ, გაპსამუნი, კოისევი, არლეტი, ბურდუიელი, ჰილოტი, ტოპალო, ნატკოვსკი

პენალტების სერიაში გაიტანეს: სებისკვერაძე, თოთლაძე, ნიშნიანიძე, ტიკურიშვილი, ლუკავა, ჭანუყვაძე; ბაეშიუ, ტაკოტი, ნატკოვსკი, ბურდუიელი, არლეტი.

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა დრამატულ ბრძოლაში მოიპოვა 2012 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ძირითად შესარჩევ ეტაპზე თამაშის უფლება. საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფის მე-3, ბოლო ტურში, საქართველო მოლდოვას შეხვდა და ისე მოხდა, რომ პენალტების სერია გახდა საჭირო ჯგუფის პირველადგილოსნის გამოსარკვევად.

საქმე ის იყო, რომ საქართველომ, მოლდოვამ და სომხებმა ერთმანეთში ერთნაირი ანგარიშით, 2:2 ითამაშეს, განსხვავება ის იყო, რომ ჩვენებმა და მოლდოველებმა მალტის ნაკრებს 1:0 მოუგეს, ხოლო სომხებმა – 4:0.

აქედან გამომდინარე, სომხეთის ნაკრები მესამე ადგილზე რჩებოდა. თუმცა, გათამაშების დებულების თანახმად, თუკი საბოლოოდ ორ ან მეტ გუნდს ქულების თანაბარი რაოდენობა დაუგროვდებოდა, დაითვლებოდა მათი ურთიერთშეხვედრების ქულები, ხოლო თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარი იქნებოდა, უპირატესობა ბურთების უკეთესი სხვაობის მქონე გუნდს მიენიჭებოდა. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოსა და მოლდოვის ნაკრებებს აბსოლუტურად იდენტური მაჩვენებლები დაუფიქსირდათ, ამდენად, დებულების 5.12 პუნქტის თანახმად, ამ ორ გუნდს შორის უძლიერესის გამოსავლენად დაინიშნა პენალტების სერია.

სანამ პენალტებამდე საქმე მიდგებოდა, სპორტის სასახლეში დაძაბული და, ცოტა არ იყოს, ფუტსალისთვის უხეში თამაში დაფიქსირდა.

ორივე გუნდი ფრთხილობდა და ცდილობდა, თავისი შანსი მაქსიმალურად გამოეყენებინა. თუმცა, ამის გაკეთება პირველ ტაიმში ვერ მოახერხეს და უგოლოდ ჩაამთავრეს. მაგრამ შანსი სტუმრებს ჰქონდათ და თანაც ჩინებული – პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მოლდოველთა კაპიტანმა ოლეგ ჰილოტიმ პენალტი ვერ გაიტანა. აღსანიშნავია, რომ მან მატჩისშემდგომ პენალტების სერიაშიც ვერ აიღო მასპინძელთა კარი.

მეორეში კი ბაეშუმ თავისიანები დააწინაურა. ძალიან სწრაფად, 8 წამში წონასწორობა აღდგა – გოლი არჩილ სებისკვერაძემ გაიტანა – 1:1. 30-ე წუთზე უკვე ჩვენები დაწინაურდნენ კახაბერ მაისაიას გოლით, მაგრამ მოლდოველები არ დანებდნენ და 36-ე წუთზე ტაკოტმა ზუსტად ის ანგარიში დააფიქსირა, რომელიც პენალტების სერიისთვის იყო საჭირო – 2:2.

თავდაპირველად პენალტები ჰილოტიმ და ლაშა სიგუნავამ გააცუდეს, დანარჩენებმა კი პენალტი ზუსტად შეასრულეს. გადამწყვეტი გამოდგა კოისევის ბოლო დარტყმა, რომელიც ზედა ძელს მოხვდა და ზაალ ჩიტალაძის გუნდი ჯგუფის გამარჯვებული გახდა.

**ჯგუფის საბოლოო მდგომარეობა:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 3 | 1 | 2 | 0 | 14:4 | 5 |
| 2.მოლდოვა | 3 | 1 | 2 | 0 | 14:4 | 5 |
| 3.სომხეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 8:4 | 5 |
| 4.მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:24 | 0 |

ჯგუფში პირველი ადგილით საქართველოს ნაკრები ძირითად ეტაპზე გავიდა და უკვე მეტოქეებიც არის ცნობილი – სლოვენია, სერბეთი, ისრაელი.

ძირითად ეტაპს სლოვენია უმასპინძლებს და მატჩები 14-18 დეკემბერს გაიმართება. ძირითად ეტაპზე სულ 7 ჯგუფია და ორ-ორი საუკეთესო პლეი ოფში გავა, რომლის პირველი მატჩები – 25-28 მარტს, საპასუხოები კი 8-11 აპრილს გაიმართება. 7 გამარჯვებული კი მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე გავა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| არსენალი-სტოკი | 3:1 |
| მანჩესტერი-სიტი | 1:6 |
| ფულემი-ევერტონი | 1:3 |
| ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1:2 |
| ქპრ-ჩელსი | 1:0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბრისტოლი-ბირმინგემი | 0:2 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბეტისი-რაიო | 0:2 |
| სოსიედადი-ხეტაფე | 0:0 |
| ატლეტიკო-მალიორკა | 1:1 |
| ვალენსია-ბილბაო | 1:1 |
| ვილიარეალი-ლევანტე | 0:3 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ელჩე-ხერესი | 1:0 |
| ალმერია-ლას პალმასი | 1:1 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ლეჩე-მილანი | 3:4 |
| ინტერი-კიევო | 1:0 |
| კალიარი-ნაპოლი | 0:0 |
| პარმა-ატალანტა | 1:2 |
| პომა-პალერმო | 1:0 |
| სიენა-ჩეზენა | 2:0 |
| უდინეზე-ნოვარა | 3:0 |
| ბოლონია-ლაციო | 0:2 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი-შალკე | 0:1 |
| ჰანოვერი-ბაიერნი | 2:1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აინტრახტი-დუისბურგი | 3:0 |
| ალემანია-ინგოლშტადი | 3:1 |
| ზანკტ პაული-ფრანკფურტი | 2:1 |
| აუე-უნიონი | 1:1 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| ოსერი-რენი | 0:1 |
| პსჟ-დიჟონი | 2:0 |
| ლილი-ლიონი | 3:1 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

| | |
|---|---|
| აიაქსი-ფეინოორდი | 1:1 |
| ალკმაარი-როდა | 1:0 |
| გრონინგენი-ტვენტე | 1:1 |
| ვიტესი-პსვ | 1:1 |

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სპარტა-იგლზი | 4:1 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

| | |
|---|---|
| მარიტიმუ-სეტუბალი | 1:0 |
| რიუ ავე-ლეირია | 2:0 |
| პორტუ-ნასიონალი | 5:0 |
| ბრაგა-ფეირენსე | 3:0 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| როსტოვი-ზენიტი | 1:3 |
| სპარტაკი-ტომი | 4:0 |
| ანჟი-ცსკა | 3:5 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ჰართსი-რეინჯერსი | 0:2 |
| სელტიკი-აბერდინი | 2:1 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუსტრია-რაპიდი | 1:1 |
| შტურმი-ზალცბურგი | 2:1 |

**ბელგია. პროლიგა**

| | |
|---|---|
| ვესტერლო-ანდერლეხტი | 1:2 |
| კორტრაიკი-ბრიუგე | 2:1 |
| სტანდარდი-ვარეგემი | 1:0 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სერვეტი-სიონი | 0:2 |
| ციურიხი-ბაზელი | 0:1 |
| იანგ ბოიზი-გრასჰოპერსი | 0:1 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ოფი-აეკი | 3:1 |
| პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 0:3 |
| არისი-პაოკი | 1:1 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ანკარაგიუჯიუ-ორდუ | 0:2 |
| ქაისერი-სივასი | 6:2 |
| გაზიანთეპი-გენჩლერი | 3:0 |
| ფენერბახჩე-სამსუნი | 0:0 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

| | |
|---|---|
| ჰრადეც კრალოვე-სლოვაცკო | 0:1 |
| სლავია-ბუდეიოვიცე | 2:0 |
| პლზენი-ჟიჟკოვი | 4:1 |

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| ლოძი-ვისლა | 1:2 |
| ლეგია-ვიძევი | 2:0 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| შახტარი-მეტალისტი | 1:2 |
| დინამო-ზარია | 6:0 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სონდერიისკე-ჰორსენსი | 1:4 |
| კიოგე-მიდტიულანდი | 1:1 |
| ოლბორგი-ოდენსე | 2:1 |
| სილკებორგი-ბრონდბიუ | 2:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| გიოტებორგი-ნორჩიოპინგი | 3:0 |
| მიალბი-ჰალმშტადი | 2:0 |
| სირიანსკა-გაისი | 0:2 |
| ჰეკენი-კალმარი | 1:2 |
| ჰელსინბორგი-აიკი | 1:1 |
| ელფსბორგი-ტრელებორგი | 3:0 |
| იორებრო-მალმიო | 1:2 |
| დიურგარდენი-გეფლე | 1:1 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| ბრანი-საპსბორგი | 1:0 |
| ვიკინგი-ლილესტრიომი | 2:0 |
| ოდ გრელანდი-ჰაუგესუნდი | 1:0 |
| ტრომსო-სონგდალი | 0:0 |
| სტრომგოდსეტი-რუსენბორგი | 3:1 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ჰიუსტონი-ლოს ანჯელესი | 3:1 |

**ხელბურთი**

**ევრო-2012. შესარჩევი ეტაპი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-გერმანია | 16:34 |
| ისლანდია-უკრაინა | 20:21 |
| ბელარუსი-უნგრეთი | 25:28 |
| პორტუგალია-სერბეთი | 21:32 |
| იტალია-დანია | 22:27 |
| თურქეთი-მაკედონია | 36:28 |
| სლოვენია-ავსტრია | 29:28 |
| შვეიცარია-ესპანეთი | 20:29 |
| ლიტვა-საფრანგეთი | 25:40 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. მოსკოვი. პრიზი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ტიპსარევიჩი-ტროიცკი | 6:4;6:2 |

**ატპ. სტოკჰოლმი. პრიზი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| მონფილსი-ნიემინენი | 7:5;3:6;6:2 |

**ვტა. ლუქსემბურგი. პრიზი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| აზარენკო-ნიკულესკუ | 6:2;6:2 |

**ვტა. მოსკოვი. პრიზი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ციბულკოვა-კანეპი | 3:6;7:6;7:5 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ანაჰაიმი-ფინიქსი | 4:5 |

# „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯიამ“ საუკეთესო დაასახელა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კონკურსის დასრულების შემდეგ კონკურსის მონაწილეებისთვის გასართობი ღონისძიება დაიგეგმა, რომელსაც კლუბმა „ბამბა რუმსმა“ უმასპინძლა.

„ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯია 2011“-ის გამარჯვებული ნონიკო კახაძე დეკემბერში ჩინეთში გაემგზავრება, სადაც „ელიტ მოდელ ლუქის“ მსოფლიო ფინალში მიიღებს მონაწილეობას.

კომპანია „აი სი მოდელ მენეჯმენტის“ წარმომადგენელთა განცხადებით, პროექტი საკმაოდ პრესტიჟული კონკურსია, რომელმაც თავის დროზე აღმოაჩინა მსოფლიოში ისეთი ცნობილი ტოპმოდელები, როგორებიც არიან ლინდა ევანჯელისტა, სინდი კროუფორდი, კლაუდია შიფერი, ჟიზელ ბუნდჰენი, ნაომი კემპბელი, ალესანდრა ამბროზიო და სხვა ლამაზმანები.

— ამ კონკურსის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის დამწყებ მოდელებს საშუალებას აძლევს, მიაღწიონ წარმატებას უმოკლესი გზით, გახდნენ პროფესიონალები და დაიწყონ წარმატებული საერთაშორისო სამოდელო კარიერა. ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნიდან კონკურსში 500.000 გოგონა მონაწილეობს და მხოლოდ 70 ფინალისტი ხდება საერთაშორისო კონკურსის მონაწილე, — ნათქვამია „აი სი მოდელ მენეჯმენტის“ მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში.

მსოფლიო ფინალის გამარჯვებულებს ელით სამოდელო კონტრაქტი საერთაშორისო სააგენტოსთან და 325.000 დოლარის საპრიზო ფონდი.

საერთაშორისო სამოდელო კონკურსი „ელიტ მოდელ ლუქი“ დამწყები მოდელების ყოველწლიური კონკურსია. ის 1983 წელს დაარსდა და მას შემდეგ ყოველწლიურად ამ კონკურსში მსოფლიოს 65 ქვეყნიდან 300 ათასამდე გოგონა იღებს მონაწილეობას. ელიტ მოდელ ლუქის წყალობით მსოფლიო მოდის ინდუსტრიამ აღმოაჩინა პოდიუმის ცნობილი ვარსკვლავები.

„ელიტ მოდელ ლუქი“ პროფესიული სამოდელო კონკურსია, რომელიც ხუთივე კონტინენტზე, 50-ზე მეტ ქვეყანაში ყოველწლიურად ტარდება და მისი მიზანი ტოპ მოდელების აღმოჩენაა. დიდი ბედნიერებაა, რომ საქართველო უკვე წლებია შეუერთდა ამ კონკურსს და თავისი წარმომადგენლებიც გაგზავნა სხვადასხვა ქვეყანაში. „ელიტ მოდელ ლუქმა“ მთელი საქართველო მოიცვა — კასტინგი რეგიონებშიც ჩატარდა. საქართველოში ამ კონკურსის გამარჯვებულები თამთა შედანია, ანა კოვაჩი, მარიტა ჯანაშია და სოფო შერგელაშვილი საზღვარგარეთ წარმატებით მოღვაწეობენ. ამავე კონკურსის ერთ-ერთი მონაწილე თეონა თევდორაშვილიც დიდი წარმატებით აგრძელებს უცხოეთში ამ სფეროში მუშაობას.

— ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „ელიტ მოდელ ლუქი“ გახდეს ერთ-ერთი პოპულარული სილამაზის კონკურსი საქართველოში. ძალიან ამაყი ვარ, რომ წინა წლების გამარჯვებულები დასაქმებულები არიან. ჩვენ ვთვლით, რომ ეს პროექტი არის საკმაოდ წარმატებული და ამიტომ მომავალშიც გამოვავლენთ დამწყებ მოდელებს. საერთაშორისო სამოდელო კონკურსზე „ელიტ მოდელ ლუქი“, როგორც წესი, ყოველწლიურად გამარჯვებულს ასახელებს თავად ელიტის წარმომადგენელი. წელსაც მან თავად მიიღო არჩევანი, საუკეთესოთა შორის საუკეთესო შეარჩია და ეს 18 წლის ნონიკო კახაძე გახდა. ვულოცავ მას ამ წარმატებას და კარიერაში წინსვლას ვუსურვებ, — განაცხადა ია კიწმარიშვილმა.

თავად გამარჯვებულმა 18 წლის ლამაზმანმა კი აღნიშნა:

— ბევრი კარგი გოგონა მონაწილეობდა ამ კოკნურსში. ჩემთვის გამარჯვება ნამდვილად მოულოდნელი იყო. ეს ჩემთვის საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა. მზად ვარ, ჩვენი ქვეყანა საზღვარგარეთ ღირსეულად წარვადგინო და გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიო, — განაცხადა „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯიას“ წლევანდელმა გამარჯვებულმა ნონიკო კახაძემ.

# ოშკი მსოფლიო ფონდის საზედამხედველო ძეგლთა სიაშია

ეკა ირემაშვილი



შუა საუკუნეების ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი — ოშკის ტაძარი, რომელიც ტაო-კლარჯეთში მდებარეობს, ძეგლთა მსოფლიო ფონდის 2012 წლის საზედამხედველო ძეგლთა სიაში მოხვდა.

ამ ინფორმაციას გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, თურქეთში მდებარე ქართული ძეგლის მდგომარეობის გამო განგაშს უკვე მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაცია იწყებს. მისი ოფისი ნიუ-იორკში მდებარეობს. 1996 წლიდან მოყოლებული, ის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ აქვეყნებს მსოფლიო მასშტაბით განადგურების პირას მყოფი ძეგლების სიას და მათ გადასარჩენად მსოფლიოს შესაბამის ორგანიზაციებს, სახელმწიფოებს, დონორებსა და მასმედიას თანამშრომლობისკენ მოუწოდებს. სტატისტიკის თანახმად, ამ ძეგლების 80 პროცენტს ძეგლთა მსოფლიო ფონდის ჩარევის შემდეგ რესტავრაცია ან კონსერვაცია ჩაუტარდა.

# „სამართლიანი საქართველო“ პრობაციის ბიუროს პარტიის ლიდერისთვის უცხოეთში ვიზის განხორციელების ნებართვას სთხოვს

„სამართლიანი საქართველოს“ გაგმგეობის წევრის კონსტანტინე ფორჩხიძის განცხადებით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულმა ბიურომ მოძრაობის ლიდერის სერგო ჯავახიძის მიმართ მიიღო დისკრიმინაციული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მას შეეზღუდა საქართველოდან გასვლის შესაძლებლობა, რითაც საფრთხის წინაშე დადგა ჯავახაძის გამოსვლა გერმანიის ბუნდესტაგის, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს გერმანელი პარლამენტარების წინაშე.

ამის შესახებ კონსტანტინე ფორჩხიძემ მოძრაობის ოფისში გუშინ გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა.

— ჯავახიძემ რამდენჯერმე მიმართა პრობაციის სამსახურს, რათა დაერთოთ მისთვის ნება საზღვარგარეთ ვიზიტის განსახორციელებლად; გარდა ამისა, ჯავახიძემ განცხადებით მიმართა სამსახურის ხელმძღვანელობასაც და მოითხოვა მათთან პირადი შეხვედრა, რათა განემარტათ მისთვის თხოვნაზე უარის თქმის მოტივაციის საფუძვლები, მაგრამ უშედეგოდ. რეალურად შეიქმნა ვიზიტის ჩაშლის საფრთხე, რომელიც შეთანხმებულია გერმანიის ბუნდეს კანცელარიასთან, ბუნდესტაგთან და გერმანიის საელჩოსთან საქართველოში. ბატონი გიორგი მაკასარაშვილის პოლიტიკური სიბეცის გამო ილახება საქართველოს იმიჯი როგორც ქვეყნის შინგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ქვეყნის გარეთ ამას შესაძლოა დიპლომატიური გაუგებრობები მოჰყვეს, რაზეც პირდაპირი პასუხისმგებლობა პრობაციის ბიუროს ეკისრება, — განაცხადა ფორჩხიძემ.

მისი თქმით, პრობაციის ბიუროს ხელმძღვანელობის განმარტებით, სერგო ჯავახიძის არგაშვება იმ მოტივით მოხდა, რომ შესაძლოა, ის ვიზიტის შემდეგ საქართველოში აღარ დაბრუნდეს. აღნიშნული გადაწყვეტილება ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელების, კერძოდ, მაკასარაშვილის და მისი მოადგილეების — ღურწკაიას და ნიკოლაიშვილის სიბეცის გამოვლინებაა.

როგორც ფორჩხიძემ აღნიშნა, ჯავახიძეს შეხვედრები ჰქონდა „ენდიაის“ დირექტორთან ლუის ნავაროსა და „აირაის“ დირექტორ ანდრეა ქერბსთან. მისი თქმით ანდრეა ქერბსმა პრობაციის ბიუროს ჯავახიძესთან შუამდგომლობის მიზნით წერილობითაც მიმართა. ასევე წერილობითი თხოვნით მიმართა ბიუროს ლუის ნავარომაც.

მოძრაობა „სამართლიანი სქართველოსათვის“ გამგეობა მიმართავს პრობაციის ეროვნულ ბიუროს ხელმძღვანელობას, მის უფროსს გიორგი მაკასარაშვილს დღის ბოლომდე მიიღონ გადაწყვეტილება და სერგო ჯავახიძეს მიეცეს ვიზიტის განხორციელების შესაძლებლობა.

მედიანიუსი

# სუპერლიგაში ლეგიონერების მატებაა

მიმდინარე საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატში ლეგიონერების მოზღვავება იგრძნობდა. მათი სია ამ დღეებში კიდევ ორი კალათბურთელით შეივსო.

უკანასკნელ რობერტ კრეპსის შემდეგ საკალათბურთო კლუბ შსს-ს კიდევ ერთი ამერიკელი ლეგიონერი, ასევე უკანასკნელი ჯეფრი მაკქემონი შეუერთდა.

შსს-მ 22 წლისა და 197 სანტიმეტრი სიმაღლის კალათბურთელთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მაკქემონს შეუძლია, როგორც მსროლელად, ასევე მსუბუქ ფორვარდად ითამაშოს. შსს-ში გადასვლამდე იგი 2006 წლიდან ამერიკის კოლეჯების ლიგაში მოასპარეზე „ლოიოლას“ რიგებში თამაშობდა.

საკალათბურთო კლუბმა „დინამომ“ ამერიკელი ლეგიონერი, ასევე უკანასკნელი დეივ ნოელი დაიმატა. 190 სანტიმეტრი სიმაღლის კალათბურთელი 1985 წელს არის დაბადებული.

მ. ჟ.

# საოცარი ლევანტე, მანჩესტერული დერბი და პრინს ბოატენგი

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ბაზე ორი ცვლილება განახორციელა და თამაშში ალბერტოაკვილანი-კევინ პრინს ბოატენგის ნახევარმცველთა დუეტი შეუშვა. ამ უკანასკნელმა მართლაც რომ საოცრებები ჩაიდინა — მეტოქეს სამი გოლი გაუტანა და პრაქტიკულად მარტომ გადაარჩინა თამაში.

ბოატენგმა პირველი ორი გოლი უძლიერესი და უზუსტესი დარტყმებით გაიტანა, თანაც ისე, რომ ბურთი ორივეჯერ ცხრიანში გაარტყა, მესამე ჯერზე კი ბურთი დაბალ კუთხეში ბილიარდის ბურთივით შეგორდა. აქვე გავიხსენოთ, რომ ბოატენგმა ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ბატესაც“ შორი მანძილიდან გაუტანა. როგორც ჩანს, განელი ფეხბურთელი „მილანის“ ერთ-ერთ ლიდერად ყალიბდება.

მეოთხე გოლი თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე გავიდა და მრავალსვლიან კომბინაციას მოჰყვა, რომელიც მარიო იეპესის ძალზე ეფექტური თავური დარტყმით დასრულდა. იეპესი მთელი მატჩის განმავლობაში ჩრდილში იყო, არცთუ დამაჯერებელი გახლდათ და ალბათ დაბალ შეფასებებსაც მიიღებდა იტალიელი ჟურნალისტებისგან, მაგრამ ამ ერთმა გოლმა ყველას ყველაფერი დაავიწყა.

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შეცდომა დავუშვით, ამ წუთას ამაზე ფიქრიც კი არ მინდა და მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით ვტკბები. ეს საოცარი თამაში იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კევინ პრინს ბოატენგი, რომელმაც უდიდესი ენერგია ჩადო ერთ ტაიმში და შეხვედრის ბედი საჩვენოდ შემოატრიალა. თუმცა, არც სხვებს მინდა გარჯა დავუკარგო, თითოეულ შეგირდს უდიდესი მადლობა ამ შთამბეჭდავი მოგებისთვის — განაცხადა მატჩის შემდეგ მასიმილიანო ალეგრიმ.

— ჩვენი გუნდისთვის და ჩემთვის ეს ბრწყინვალე შეხვედრა იყო. ვამაყობ ჩემი დღევანდელი თამაშით. გატანილ გოლებს შვილსვ უძღვნი, — ეს კი მატჩის გმირის, კევინ პრინს ბოატენგის სიტყვებია.

რაც შეეხება სატურნირო ცხრილს, აქ გრანდები არ ფიგურირებენ და ჯერჯერობით „უდინეზე“ და „ლაციო“ ლიდერობს. ოთხეულში მოულოდნელად მოკრძალებული „კალიარიც“ იწონებს თავს.

# ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა დროულია

დასაწყისი მე-7 გვერდზე

დან ამ ხელისუფლებამ არაერთხელ გამოსცადა საპროტესტო აქციები, არაერთხელ დაინახა საზოგადოების საკმაოდ მწვავე პროტესტი და რეაქცია მის მიერ დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით. ხელისუფლება ყველაფრიდან საკმაოდ რეალურ დასკვნებს აკეთებს, ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს არ გამოაქვთ სააშკარაოზე, ამიტომ, დღეს რაც საზოგადოებას სჭირდება, არის ის, რომ ამ ადამიანის მხრიდან უფრო მკვეთრი ნაბიჯები იქნეს გადადგმული. სხვა შემთხვევაში დრო მუშაობს ივანიშვილის საწინააღმდეგოდ.

— მკვეთრ ნაბიჯებში შეიძლება ჩაითვალოს ქუჩის აქციები, რაც, როგორც გაირკვა, ივანიშვილის გეგმებში არ შედის და ასევე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, რაზეც ასევე არ არის საუბარი....

— თუ ხელისუფლება გახდა იძლებული, რომ დანიშნოს ვადამდელი არჩევნები, ოპოზიცია გაცილებით მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდება, ვიდრე ერთი წლის შემდეგ, ვინაიდან ოპოზიციას არა აქვს მედიასაშუალება, რომელიც მის ინტერესებს დაიცავდა. ხელისუფლება ყველა საშუალებას გამოიყენებს იმისათვის, რომ ივანიშვილის რეიტინგი დაბლა დასწიოს. Aაქედან გამომდინარე, თუ ივანიშვილს რეალურად უნდა რაიმეს შეცვლა, საჭიროა უფრო მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა და ფაქტია, რომ მას ამ დროისათვის აქვს საკმაოდ მაღალი რეიტინგი და ამიტომაც ჩრდილში ყოფნა არ არის მომგებიანი.


## განცხადება

ნოტარიუსი ნათელა გაგაძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ.თბილისში, ქეთევან წამებულის ქ.№69-ში, პირველ სართულზე, გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება 1975 წლის 31 ოქტომბერს გარდაცვლილი ალექსი რუდკოვის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე, კერძოდ, უძრავ ქონებაზე, საცხოვრებელ სახლზე, თავის კუთვნილი მიწის ნაკვეთით, მდებარე: ქ.თბილისი, საბარგოს დას. არველაძის ქ.№27-ში.

მემკვიდრეებს, რომელთაც პრეტენზია გააჩნიათ ზ/აღნიშნულ უძრავ ქონებაზე და სამოქალაქო კოდექსის თანახმად ითვლებიან 31.10.1975წ. გარდაცვლილი ალექსი რუდკოვის მემკვიდრეებად, გთხოვთ მიმართოთ ნოტარიუს ნათელა გაგაძეს, რომლის სანოტარო ბიუროც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ქეთევან წამებულის ქ.№69-ში, პირველ სართულზე.

პატივისცემით, ნოტარიუსი ნათელა გაგაძე





## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 2. დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა; 3. პატარა სამხედრო-საველე ჰოსპიტალი; 4. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 7. სუსტი მოწინააღმდეგისათვის მიცემული ფორა რაიმე შეჯიბრებაში; 8. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 12. ძვირფასი ქსოვილი; 14. პოლიციის სამმართველო იტალიაში; 16. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი მინერალური წყარო; 17. რაიონული ცენტრი იმერეთში; 19. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 20. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად**: 5. უბანი თბილისში; 6. ცეცხლსასროლი იარაღის ამერიკელი კონსტრუქტორი; 9. წავისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 10. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 11. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. ძველი ქართული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი, ქნარი; 15. ცისკრის, განთიადის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 18. დედალი ღორი; 21. კინობოევიკის მთავარი გმირი; 22. ნარკოტიკების ზემოქმედებით წარმოქმნილი მხიარული განწყობა; 23. მაღალხარისხოვანი კერამიკული ნაწარმი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

### კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 6. არტალა; 7. ყმაწვილი; 8. აპრილი; 10. ადამი; 11. სინდისიერი; 13. სინაგოგა; 16. თარაზო; 19. არმავირი; 20. ლაზარეთი.

**შვეულად:** 1. ტრაპეზი; 2. ალალი; 3. ამირბარი; 4. გვარდია; 5. დიპლიპიტო; 9. სტინგი; 12. ზაფრანა; 14. ილუზია; 15. გული; 17. ზაფრა; 18. ნავი.

### სკანვორდის პასუხები

1. კივი; 2. სკა; 3. ფარსი; 4. გორი; 5. ნეი; 6. ნალი; 7. ოპელი; 8. ბერეტი; 9. ლანდი; 10. პაი; 11. პარანა; 12. კაა; 13. სატანა; 14. ომი; 15. საპონი; 16. სარკე; 17. სარო; 18. ბოი; 19. რეისი; 20. ნოე; 21. აბაზი; 22. სინი; 23. ზრო; 24. ჟანგი; 25. გლასე; 26. საინგილო; 27. აბატი; 28. ისიდა; 29. დონ ჟუანი; 30. აბგა; 31. პრემია; 32. სტოიკოსი.

**სურათებზე:** პატრისია კაასი; ადრიანო კორეა.

# ამერიკამ სააკაშვილს თითი დაუქნია

გულიკო ბალაძე

გუშინ მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლის" ოფისში სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი შეიკრიბა. მათ შორის იყვნენ საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები ჯანსუღ ჩარკვიანი, ნოდარ მგალობლიშვილი, დიმიტრი ჯაიანი, თენგიზ დიხამინჯია, ავთანდილ დავითაია, ბაია ამაშუკელი, გურამ ფირცხალავა და სხვები.

ამ შემთხვევაში საზოგადოება ამ მოძრაობის ინიციატორისა და სულისჩამდგმელის, შვილმოკლული მამის იური ვაზაგაშვილის სამი დღის წინანდელ მოწოდებას გამოეხმაურა.

– ბიძინა ივანიშვილმა იმედი გააჩინა. საზოგადოებამ, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, რომ საქმე სწორი მიმართულებით წავიყვანოთ, – განაცხადა იური ვაზაგაშვილმა, – ჩვენ უნდა წარმოვადგინოთ ჩვენი ხედვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ომოქმედოს ხელისუფლებამ. უამრავი პრობლემა არსებობს. ჩვენი თავი ჩვენ თვითონ უნდა დავიცვათ, თორემ მომავალი ხელისუფლებაც იმავეს გააკეთებს, რასაც არსებული ხლისუფლება აკეთებს. ვინც მოვა, მას უნდა მოვთხოვოთ ჩვენი ხედვების გათვალისწინება. თუ ჩვენს ხედვებს გაითვალისწინებს, ჩვენი თავი ენაცვალოს. იმედი გაჩნდა და ამას უნდა გავუფრთხილდეთ.

თემურ კარიაულმა ისაუბრა მუშა ჯგუფების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც თემატურად იმუშავებენ გარკვეულ საკითხებზე.

ქალთა მოძრაობა „თამრიონის" ხელმძღვანელის აველინა დავითულიანმა (რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომელია, ფიზიკოსი) ვრცლად ისაუბრა მათ მომავალ გეგმებზე და განვლილ პერიოდში შექმნილ ვითარებაზე.

მისი განცხადებით: „სამწუხაროდ, ავტორიტარული რეჟიმიდან დიქტატორული რეჟიმისკენ მივემართებით. ჩვენი სახელმწიფო უკვე ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას. ამ პირობებში, თუ ჩვენ ცოცხალი ორგანზმი ვართ, უნდა ვიმოქმედოთ. ბრძოლა სასტიკია სამწუხაროდ, აქამდე საზოგადოება ამ ბრძოლას ყოველთვის აგებდა. ქვეყნის გადარჩენისთვის კრიტიკული მასაა საჭირო. უნივერსიტეტის დასაცავად 300 კაცი ვიდექით. პოლიციელები გვეუბნებოდნენ, ქოლგები დახურეთ, რადგან მიშა რომ გაივლის, გხედავთ და ნერვიულობსო. ამიტომ ჩვენ სამოქალაქო საზოგადებად უნდა ჩამოვყალიბდეთ", – განაცხადა მან.

აველინა დავითულიანის თქმით, უნდა შექმნან ის კონსტიტუცია, რომელიც ჩვენ გვჭირდება. ეს ორგანიზაცია ყოველი თვის 26 რიცხვში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ აქციას ატარებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, სხვადასხვა საკითხებზე ზოგადად იყო საუბარი. ამან შეკრებილი საზოგადოება შეაშფოთა. ზოგიერთმა ხმამაღლა განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლებისაგან დაცვა ესაჭიროება, ხელისუფლების დარტყმის ქვეშაა, ამიტომ კონკრეტულად მისი დაცვის გეგმები უნდა დავსახოთო.

დავით მხეიძემ (რომელიც ჟურნალისტი გახლავთ) შეკრების ინიციატორებსა და დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა, ესაუბრათ იმ საკითხისადმი დამოკიდებულებაზე, რაც ეხება ბიძინა ივანიშვილისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებას:

– ყველაფრის თავი არის არსებული ბოროტი ხელისუფლება. მთელი საზოგადოება შეშფოთებულია. ბიძინა ივანიშვილმა ჭაობი გაალღვიძა. უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ ბიძინა ივანიშვილის დაწყებული მოძრაობის თანაზომადი რაღაც გავაკეთოთ. მჯერა, ღვთისაგან



მოვლენილი ბოლო შანსია და ეს უნდა გამოვიყენოთ. რატომ არის გაჩუმებული ეკლესია? რაც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა, იმის თანაზომადი იქნება, გამოვიდეს ეკლესია და თქვას, ეს რუსული ბოროტებაა თუ ქართული სიკეთე? აქ მოვედით იმისათვის, რომ ვისაუბროთ, როგორ დავიცვათ ეს კაცი, რომელიც დარტყმის ქვეშაა, – განაცხადა დავით მხეიძემ.

დავით მხეიძის თქმით:

– ჩვენ ძალიან კარგი ქვეყანა გვინდა გვქონდეს, მაგრამ ბოლო წლების მანძილზე ვერაფერი გავაკეთეთ. სულ ვიძახდით, ამ პროცესის დასაძლევად, საჭიროა ერთიანი ნაციონალური ლიდერი. ერთიანი ნაციონალური ლიდერი გამოჩნდა. როგორი ქვეყანა გვინდა ჩვენ და ბიძინა ივანიშვილს, მის წერილებში და ბოლო ინტერვიუში გამოჩნდა.

დავით მხეიძის საპასუხოდ, იური ვაზაგაშვილმა განაცხადა, რომ სწორედ იმისთვის არიან შეკრებილი, ეს ბოლო შანსი გამოიყენონ.

მოკლედ, შეკრებილი საზოგადოება ბიძინა ივანიშვილის დაცვას მოითხოვდა. უნდოდათ კონკრეტულად ესაუბრათ იმაზე, თუ როგორ უნდა მომხდარიყო იმ პიროვნების დაცვა, რომელმაც საზოგადოებაში უდიდესი იმედი გააჩინა, ხელისუფლება კი მის მოშორებას ცდილობს.

უნდა ითქვას, რომ საზოგადოების შიში არცთუ უსაფუძვლოა. მას არაერთი მაგალითი აქვს ხელისუფლების მხრიდან ძალადობისა. თუმცა, ამერიკამ, სააკაშვილს და მისი ხელისუფლებას, ფაქტობრივად, თითი დაუქნია, ფრთხილად იყავით, თვალყურს გადევნებთო.

ბიძინა ივანიშვილისადმი მხარდაჭერის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ დიპლმატიური კორპუსის სტუმრობა მასთან, მაგრამ როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ამიტომ „გადაარჩინე სიცოცხლის" ოფისში შეკრებილი საზოგადოების ცნობილი თუ უცნობი წარმომადგენლები ერთხმად მოითხოვდნენ ბიძინა ივანიშვილის დაცვას სააკაშვილის ხელისუფლებისაგან.

მსახიობმა ნოდარ მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ ეს ისეთი საკითხია, აუცლებელია მუშა ჯგუფის ჩამოყალიბება თავისი სტრუქტურებით.

– ძალიან დიდ პატივს ვცემ ყველას. ერს ყოველთვის აქვს თავისი ჩამოყალიბებული ტრადიციები და საუკუნეების განმავლობაში მიღებული თვისებები. ამ თვისებებით ჩვენ ძალიან ბევრჯერ დავზარალდით. დავიყვირებთ, რომ „მიშა, მოვდივართ!" ყველა მივდივართ, შემდეგ მოვდივართ სახლში, ვზივართ, ვუყურებთ ტელევიზორს და არაფერი... გავდივარ ეზოში და ვეუბნები, აქ რომ ჭადრაკს თამაშობთ და სვამთ, წამოდით, არჩევნებზე ხმა მივცეთ-მეთქი. მპასუხობენ, ჩემს ხმას რა მნიშვნელობა აქვს? დაჯექი რა, თითო ჭიქა დავლიოთ! თითო ჭიქის დალევას გადავაყოლეთ ჩვენი ცხოვრება და ჩვენი ქვეყანა. ვხედავ, გადმოიხედა მიშამ და დაინახა, რომ ქუჩები მანქანებითაა გავსებული, ყველას ტელეფონი უჭირავს ხელში, ყველა სვამს, ჭამს, აცვია. გოგონებმა და ქალებმა გაიზარდეს თმა. საქართველო მოდასაა გადაყოლილი. ეს არის უბედურება.

გთხოვთ, ჩემი გამოსვლა არავითარ შემთხვევაში ჭკუის სწავლებად არ მიიღოთ, მაგრამ ვხედავ, რომ უთქმელობა არ ივარგებს – უნდა შედგეს მუშა ჯგუფი. ასე უნდა მოვიქცეთ, თუ ჩვენ გვინდა, ეს ადამიანი დავიცვათ. აქ მხოლოდ ერთი ადამიანის, ბიძინა ვანიშვილის დაცვაზე კი არ არის საუბარი, მისი სახით მე საქართველოს ვხედავ. არ მინახავს თავისი ცხოვრების ასეთი ანალიზი ვინმეს ასე გაეკეთებინოს.

ხომ ვიცით, საიდან წამოვიდა ეს კაცი – საშინელ ქარცეცხლში, რუსეთში იმყოფებოდა. იქ (რუსეთში – გ.ბ.) კვანტრიშვილი მოკლეს, ხალხო. ბიძინა ივანიშვილი კი გადარჩა. ეს არის სასწაული. კაცი მიზანში იყო ამოღებული. წარმოიდგინეთ, ის გადარჩა იმ პერიოდში, როცა რუსეთში ბიზნესი ტრიალდებოდა, სულ ქართველების მიერ და ბევრი მათგანი ამას შეეწირა. ამ დროს აღმოჩნდა კაცი, რომელიც იქიდან გამოვიდა. იცით, რამდენი კაცია მკვდარი იმ სამყაროში? ძალიან დიდი ბიზნესმენები. იმ ხუთი ბანკიდან ერთ-ერთი არის ამ საქმის გარანტი. წარმოიდგინეთ, როგორი ძალა აქვს მას. ამიტომ როდესაც სული ძაბუნდება, იქ ეკლესია უნდა იყოს თავის სიმაღლეზე, – ასეთია ნოდარ მგალობლიშვილის აზრი.

ეკლესიასთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ ეკლესია სათუთი თემაა.

შეკრებილი საზოგადოება ერთხმად აცხადებდა, რომ არ უნდა დავუშვათ ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ ისეთი პროცესების განვითარება, რომელიც დააზარალებს საზოგადოებასო.

## TV პროგრამა

**სამშაბათი 25 ოქტომბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** საფეხბურთო მიმოხილვა **13.50** აუდიტორია **15.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **17.00** მედ-ინფო **17.30** დამზადებულია საქართველოში **18.00** ან. ფ."ადამიანი ობობა" **19.05** სერ. "**მისამართი უცნობია**" **21.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.40** მხ. ფ. "**ინტელექტის კოეფიციენტი**" (მ. რაიანი) **01.40** კავკასუს ლაივი **02.40** მხ. ფ. "**მშვიდობისმოყვარე**" (**12**) (ჯ. კლუნი) **04.45** სერ. "**ზიანი**" (**12**)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00, 01.00** სერ. "**ზიანი**" **20.00** მხ. ფილმი "**წმინდანთა ცხოვრება**" **01.00** მხ. ფილმი "**ზარი 2**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**როსალინდა**" **11.00** სერ. "**კლონი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ვანოს შოუ **17.00** სერ. "**ავრორა**" **18.45** სერ. "**ახალგაზრდა ქვრივი**" **19.45** სერ."**სახლი მეზობლად**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** მელომანია **00.00** შუა დღე **01.30** პატრული **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**მოპარული ბედნიერება**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25** ქრონიკა **11.40** სერ. "**ქალის სიტყვა**" **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. "**ყავა და ლუდი**" **16.00** სერ. "**შურისძიების საფასური**" მე-**2**ს. **17.40** სერ. "**ევა ლუნა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** ბიზნეს ლიდერი **00.30** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **01.50** მხ. ფილმი "**კეთილი ჯონი**" (ჩ. ტატუმი) **04.00** მხ. ფილმი "**პირდაპირი მოქმედება**" (**12**) (დ. ლუნდგრენი) **06.30** სერ. "**მარინა**"

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **11.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. "**დაკარგული ქვეყანა 3**" **13.00** მხ. ფილმი **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. "**ტყუპები**" **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. "**მისი სულის მუსიკა**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერ. "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.30** დოკ. ფილმი **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. "**სოპრანოს კლანი**" **12.50, 19.35** სერ. "**ადვოკატი**" **15.15** სერ. "**ექიმი ქმორი**" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** დოკ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "გურამ დოჩანაშვილი" **10.40** სალვთისმეტყველო საუბრები **11.30** ერთსულოვანი ოჯახი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**მაცი ხვიტია**" **13.45** კონცერტი – ე. ვირსალაძე. მე-**2**ნ. **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი "**მეტიჩარა**" **16.45** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.10** მოკ. ფილმი "**სიყვარულის ცეცხლი**" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**მევლუდი**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი – ენიო მორიკონე ვენეციაში

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# სამგლოვიარო განცხადებები

## ჯიბო (კონსტანტინე) აბულაძე

***სიკვდილის მერეც არსებობს სიცოცხლის დღესასწაული გზას გინათებდეს ოღონდაც ღმერთთან ლამაზი წარსული...***



ლამაზი წარსული, მხოლოდ 35 წლით შემოიფარგლა.. 36-ე შემოდგომა სიკვდილშემუსვრილი გაუთენდა ვაჟკაცს, რომლის ქართველ-კაცობით ამაყობდა ოჯახი, გვარი, საძმოსამეგობრო..

გარდაბნის რაიონში მხოლოდ წელიწად-ნახევარი მოღვაწეობდა გარდაბნის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე. იუმორით სავსე, ხალასი, სამშობლოს პატრიოტი, უფლის მორწმუნე და მოშიში. გაჭირვებული ადამიანის გვერდში მდგომი, სხვისი ტკივილის გულთან მიმტანი, თბილი და მოსიყვარულე, ძმა, მეგობარი, უფროსი. ასე ხასიათდება ჯიბო (კონსტანტინე) აბულაძე თავისი თანამშრომლებისათვის, გარდაბნის რაიონში ნაცნობი თუ ახალ გაცნობილი ადამიანებისათვის, საძმო-სამეგობრისათვის.

პარასკევს მოწყენილობა არ აპატიეს თამნამშრომლებმა. ერთ-ერთი სიზმრის მოყოლას აპირებდა, შეაწყვეტინა:

-„ცოლი ხო მარ მომყავდა"?

- რა? დრო არ არის?

– დღეს ვერ მოვასწრებ, ჯერ ადრეაო.

ბოლოს მაინც ეცადა, მოწყენილობა გაექარვებინა, რადგან იცოდა სამსახურის თანამშრომლები სოცოცხილით სავსე, მხიარულ უფროსს იყვნენ მიჩვეულები.

გარდაბნობისათვის სამზადისი მთელ სამსახურს გადასდო.. განსაკუთრებულად ბედნიერი იყო, საოცრად ლაღი, მის სახეს მთელი დღე ღიმილი ეფინა.

სპორტულ შეჯიბრებებს ბოლომდე დაესწრო, რამდენიმე კუთხეს მეგობრებთან ერთად ჩამოუარა. ვინ იფიქრებდა, მთასავით ვაჟკაცს სიკვდილის აჩრდილი ფეხდაფეხ დასდევდა.

ქართულ სადღეგრძელოებში ქართული სული და გული ჩააქსოვა და უფლის ლოცვა დიდებით გზას გაუდგა. ჩქარობდა.. მამისაგან დაობლებულ ოჯახში თავის უსაყვარლეს დედასთან, დებთან და დიშვილებთან მიეჩქარებოდა..

წუთებმა გადაწყვიტა ყველაფერი. სიკვდილთან ჭიდილში მებრძოლს მეგობრები წაადგნენ თავს. თითქოს დედამიწა შეტორტმანდა. მეხივით გავარდა ხმა "ჯიბო დაიღუპაო"..

ორშაბათი დღე. გარდაბნის საკრებულოს, გამგეობის შენობაში, ქუჩაში, სამსახურებში თავჩაქინდრულ ვაჟკაცებს თითქოს სათქმელი გამოელიათო, შენი სიკვდილით გაოგნებულები, განურჩევლად ეროვნებისა, თვალცრემლიანები უსამძიმრებენ ერთმანეთს შენს გარდაცვალებას.

დაუნდობელი ხარ, წუთისოფელო..

დედას მთა კაცი, ვაჟკაცი შვილი წაართვი, დებს – მოსიყვარეულე ერთადერთი ძმა და იმედი, გვარს – ერთი ღირსეული გვარის ჯილა, საქართველოს – კაცი, ქართველკაცობის, ძმობის და მეგობრობის უბადლო შემოქმედი.

გემშვიდობებით, კარგო ქართველო. უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, რამეთუ არასოდეს არ ჩაქრება ის სანთელი თითოეული ადამიანის გულში, რომელიც თავად დაანთე შენ, შენი ლამაზი ურთიერთობებით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა იუწებიან გარდაბნის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორის

**კონსტანტინე (ჯიბო) აბულაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## დევის გახსენება



არა მიზეზნი და გარემონი – გიმტყუნა მიწამ, გაგწირა ზეცამ. და ფრთებს ახოცავს იჭვის დემონი სიკეთე-რწმენის გაცრეცილ ზეწარს.

შებრუნდებოდა ბედის ცარგვალი, გაბრწყინდებოდა დგომა სფეროთა, უზენაესი ნება და თვალი შენს გულისწუხილს რომ ჩასწვდენოდა.

სოფლად მკვდარია ყოველი წმინდა და თუ რამ ელავს განცდათა რკალში, – შენი ღიმილი ჟამის სიღრმიდან; უკუნეთიდან – სულის კაშკაში.

*მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, სისხლხორცეულნი*

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს თემურ გოგოხიას ოჯახს მამის

**ნური გოგოხიას**

გარდაცვალების გამო.

და ჟუჟუნა წოწორია, შვილები ომარ, ოთარ, დათო, იური, დალი, სულიკო, ფოთოლა, შვილიშვილები ეკა, სოფიკო, ნათია, სალომე, ხათუნა, თამუნა, მანო, ნატო, გოგი, ნანა, ბექა, სილოვანი, მარიამი, ვერიკო, შვილთაშვილები ანანო, ანასტასია, ლეილა, თამაზი, მიხეილი, დათუჩა, ირაკლი, პაატა, დისშვილები რომანი, ციური, ალიოშა გაბისონიები, დისშვილის შვილები ნანა, ნათია, კახა, ანა, თამუნა, ნონა, ნინო, სიძეები ფრიდონ გეწაძე, ავთო ხურციძე, ირაკლი ქადარია, მამუკა სულავა, ილია მჭედლიშვილი, გოჩა ცომაია, გიგა ბალანჩივაძე, თამაზ კოპაძე, გიგა გაბეშია, მამუკა ჯანელიძე, რძლები მარინა სურმავა, ინეზა ჩაბრავა, მარინა ბასილაია, მარინა ორბელაძე, თამარ წოწორია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ენუქი სილოვანის ძე წოწორია**

დაკრძალვა: 27 ოქტომბერს, 16 საათზე, მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწში.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**25 ოქტომბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6613
ევრო —2,2702
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12–17, ღამით — 6–8
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 17–21, ღამით — 9–12
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12–13, ღამით — -2–7

## ამინდის პროგნოზი 25 ოქტომბრისთვის




# მხოლოდ „ახალი თაობის“ მკითხველებისთვის

## „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

## პირველი 10 ტომი — 1 წიგნი 5 ლარად

27 ოქტომბერს გაზეთთან ერთად გაიყიდება პირველი ტომი — განდი
28 ოქტომბერს — მე-2 ტომი — ფრანკო
29 ოქტომბერს — მე-3 ტომი — ჩერჩილი, წიგნი 1
1 ნოემბერს — მე-4 ტომი —ჩერჩილი, წიგნი 2
3 ნოემბერს — მე-5 ტომი —სერვანტესი
5 ნოემბერს — მე-6 ტომი —რიშელიე
11 ნოემბერს — მე-7 ტომი —მარკესი
15 ნოემბერს — მე-8 ტომი —ნაპოლეონი
17 ნოემბერს — მე-9 ტომი —ვაჟა-ფშაველა
19 ნოემბერს — მე-10 ტომი —კეისრები



## ასტროპროგნოზი 25 ოქტომბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

წარმატებული დღეა

**ვერძი** – ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – ზედმეტი აქტიურობა არ არის საჭირო, მშვიდად იყავით. **ლომი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** – ფულის პრობლემა არ გაქვთ. **სასწორი** – იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **ღრიანკალი** – ახალი სამსახური მოგეწონებათ, ფულიც გექნებათ. **მშვილდოსანი** – თავს კარგად გრძნობთ, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თხის რქა** – შრომა დაგიფასდებათ, კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **თევზები** – საღამო მშვენიერი იქნება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## „რეინჯერსი“ შესაძლოა გაკოტრდეს

მაშინ, როდესაც ჩვენ ქართული ფეხბურთის პრობლემებზე და უფინანსობაზე ვწუწუნებთ, ამასობაში შოტლანდიური ფეხბურთის გრანდი „გლაზგო რეინჯერსი“ შესაძლოა ახლო მომავალში გაკოტრდეს. თუმცა, ამის სათავე სულაც არ არის ის პრობლემა, რაც ქართულ ფეხბურთს აწუხებს.

როგორც გაირკვა, კლუბის მეპატრონე კრეიგ უაიტი ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულეს. ამის გარდა, „რეინჯერსს“ 49 მილიონი ფუნტის ოდენობით ვალი უკვე გააჩნია.

ედინბურგის სასამართლომ რამდენიმე თვის წინ კლუბის აქტივები გაყინა. თუ „რეინჯერსის“ მეპატრონეებმა ახლო მომავალში ვერ შეძლეს ფინანსური პრობლემების მოგვარება, კლუბი გაკოტრებულად ოფიციალურად გამოცხადდება.

ამ დროს კი რეინჯერები თავიანთ ქვეყანაში „სელტიკთან“ ერთად ყველაზე ტიტულოვან გუნდად ითვლება და მიმდინარე პრემიერლიგასაც დამაჯერებლად ლიდერობს.

მ. ჟ.




## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. შეუსაბამობა, უაზრობა; 2. მეცნიერების ან ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწე; 3. ქალის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 4. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 5. უზბეკეთის დედაქალაქი; 7. ღვინის მწარმოებელი უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 11. შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი; 13. უხეირი ლექსები; 15. აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 16. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. ძლიერ ფეთქებადი ჭურვი; 19. პოეტური ქმნილება.

**თარაზულად:** 6. სახელმწიფო ევროპაში; 8. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 9. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 10. რაიმეს შეცვლა, გარდაქმნა; 12. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 14. პოპულარული მაგიდის სათამაშო; 17. მიწაში ბინადარი შხამიანი ობობა; 20. პატარა თევზსაჭერი გემი; 21. საჭადრაკო ამოცანა; 22. სხვადასხვა კლასის სამგზავრო ვაგონებისგან შედგენილი მატარებელი; 23. რაიონული ცენტრი გურიაში.

შეადგინა: თ. გოგინაშვილმა.



## იუმორი



– გუშინ ველოსიპედი ვიყიდე, იაპონური, წავიქეცი, საჭე მარჯვნივ აქვს...

* * *

ტიპი შინ მივიდა, სადილობს. უცბად ქვემოდან ყრუ, მძლავრი დარტყმების ხმა გაისმა. მთელი სახლი აზანზარდა. ათი წუთი ითმინა და შემდეგ ქვედა მეზობელს მიადგა.

კარი მთვრალმა მეზობელმა გაუღო, თავზე ჩაფხუტი ახურავს.

– ამას ვის ვხედავ, შემოდი, ნახე, ბატუტი ვიყიდე...

* * *

– 75 წლის იუბილარისათვის საჩუქარის შერჩევა ძნელია, ან ყველაფერი აქვს, ან აღარაფერი უნდა...

* * *

– ნიუტონს თავზე ვაშლი დაეცა და მსოფლიო მიზიდულობის კანონი ჩამოაყალიბა.

– ჩვენს ზეინკალს კი ფეხზე ურო დაეცა და ისეთი რამ ჩამოაყალიბა, ფილოლოგები დღემდე ვერ ახერხებენ გაშიფვრას...

* * *

– სამმაგ ხტომაში ავსტრალიის ჩემპიონი დოპინგ კონტროლზე გაგზავნეს და გადაცმული კენგურუ აღმოჩნდა...

## „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯიამ“ საუკეთესო დაასახელა

ეკა ირემაშვილი

კომპანია „აი სი მოდელ მენეჯმენტის“ მიერ საქართველოში უკვე მეხუთედ გაიმართა სილამაზის კონკურსი „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯია“, რომელიც მიზნად ისახავს 13-დან 22 წლამდე ასაკის გოგონათა შორის ახალი სახეების აღმოჩენას და მათ საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას.



თბილისის „ივენთ ჰოლში“ სილამაზის კონკურსის „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯია 2011“-ის დასკვნითი, ფინალური კონკურსი გაიმართა. ჟიურის წევრებმა წარმოდგენილ 20 ფინალისტ გოგონას შორის ტოპხუთეული აირჩია და მათგან ერთ-ერთი გამარჯვებულად დაასახელა.

წელს ამ კონკურსის გამარჯვებული 18 წლის ნონიკო კახაძე გახდა, რომელიც ამავე დროს „მის საქართველოშიც“ მონაწილეობდა და ვიცე მისის წოდება დაიმსახურა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალრიცხოვან ჟიურის თავიანთი ფავორიტები ჰყავდა, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, საერთო გადაწყვეტილება ნონიკო კახაძის სასარგებლოდ გადაწყდა. 18 წლის ლამაზმანი 177 სანტიმეტრია. გამარჯვებულის გარდა, ტოპხუთეულში მოხვდნენ – 19 წლის ნატო გაგუნაშვილი, 17 წლის თაკო ადამია, 14 წლის სალომე ხელაშვილი და 16 წლის მაკა გიგაური. „მის ფოტოგენურობის“ ტიტული კი 14 წლის სოფო ნოზაძემ დაიმსახურა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე